Georgische Zeitung „SAKARTHWELO“

საქართველო

№ 34 (111) გამოც. მე-3 წელი ქართველ მოხალისეთა ყოველკვირეული გაზეთი ბერლინი, 29 აგვისტო, 1944 წ.

მათი საქმეები უკვდავია

აგვისტოს აჯანყების 20 წლისთავი

პატარა საქართველოს თავისი ხანგრძლივი ისტორიის მანძილზე არაერთხელ და ორჯერ უგემია ვერაგი მტრის თავდასხმა და აოხრება. ძლიერი მტერი ხშირად ფიზიკური განადგურებით ემუქრებოდა ქართველ ხალხს, სპობდა ჩვენს კულტურას, დასცინოდა ჩვენს სარწმუნოებას, ჩვენს ენას, ზნე-ჩვეულებას... მაგრამ გმირი ქართველი ხალხი არასოდეს შერიგებია მოძალადეებს. ერი სისხლისაგან იწრიტებოდა, სამშობლოს მინდორ-ველზე ათასობით ეცემოდნენ ქართველთა საუკეთესო შვილები, მაგრამ ხმალს ხელიდან მაინც არ აგდებდნენ, ეროვნულ დროშას დაბლა არ ხრიდნენ, მამა-პაპის საფლავებს არ არცხვენდნენ... ქართველ ხალხს ვერ წარმოედგინა მონობაში ყოფნა, მისი ცხოვრების დევიზი ყოველთვის იყო: „სჯობს სიცოცხლესა ნაზრახსა, სიკვდილი სახელოვანი“. ამ უკვდავი სიტყვების შთამაგონებელი ძალით, პირზე ღიმილით ეცემოდა ქართველი გმირი მტერთან უთანასწორო ბრძოლაში, ამ სიტყვებით მიდიოდა წინ და იმარჯვებდა იგი სამშობლოს დამმონებელთა წინააღმდეგ.

რა უბედურება არ გადახდენია ქართველ ხალხს, „რა წისქვილის ქვა არ დატრიალებულა მის თავზე“, მაგრამ თავისი მეობა, თავისი საკუთარი სახე მაინც დღემდის შეინარჩუნა, დაიცვა და ხანძარს გადაარჩინა წინაპართა ძვლებით მოფენილი მამული, სადაც ყოველი ლოდის, ყოველი ქვის ქვეშ ქართველ გმირთა საფლავებია... ქართველმა ხალხმა ისტორიის შავბნელ დღეებში, თუ პალითი სიმამაცით გამოატარა დროშა ჩვენი დიდების, თავდადებულთა სისხლში ამოვლებული და შუბის წვერით შენარჩუნებული... ვერ გადრიკა ჩვენი ერის ნებისყოფა ვერცერთმა ისტორიულმა მოვლენამ, ვერცერთმა დამპყრობმა და დამმონებელმა, როგორი ულმობელიც არ უნდა ყოფილიყო იგი...“

მაგრამ აი, დაჰკრა სანეტარო ჟამმა: 1918 წლის 26 მაისს საქართველომ, გერმანიის მეგობრული დახმარებითა და მხარდაჭერით, კვლავ აღიდგინა დიდიხნით დაკარგული დამოუკიდებლობა და თავისი თავი თვითონვე ჩაიბარა. სამწუხაროდ, ეს თავისუფლება ხანგრძლივი ვერ გამოდგა. ჩვენი სამშობლოს ისტორიული მტერი — რუსეთი, ეხლა უკვე წითელ ქურქში გამოხვეული, მზაკვრულად, ომის გამოუცხადებლად თავს დაესხა ჩვენს ქვეყანას და ისევ მონობის ბორკილები დაადო. რუსეთის ვერაგობა ამჯერად ყველაზე სასტიკი და ულმობელი იყო. ის, რაც ბოლშევიკურმა რუსეთმა განიზრახა საქართველოს მიმართ, არცერთ ისტორიულ არამზადას არ მოსვლია თავში! ბოლშევიკებმა მიზნად დაისახეს ქართველი ხალხის სრული გადაგვარება. საქართველო რუსეთის უბრალო კოლონიად გადაიქცა; ჩაჰკლეს და ჩაახშვეს ჩვენს ახალგაზრდობაში ეროვნული შეგნების წმინდათაწმინდა გრძნობა; სამშობლოს სიყვარული დანაშაულად ითვლებოდა, ანკი რომელ სამშობლოზე შეიძლებოდა ლაპარაკი, როდესაც ქართველ ხალხს ეს სამშობლო წაართვეს, პატივი აჰხადეს და საქვეყნოდ მასხარად აიგდეს!

დიდხანს არ დარჩენილა უპასუხოდ ჯუღაშვილის ასეთი გაუგონარი თავხედობა. ქართველმა ერმა, მონოლიტურად შემჭიდროებულმა და შედუღაბებულმა, მძლავრად შეარხია თავისი ვაჟკაცური მხარბეჭი და როგორც ერთი, აღსდგა სამშობლოს დამპყრობთა წინააღმდეგ. 1924 წლის 29 აგვისტო, — დღე, როდესაც მთელმა მსოფლიომ შეიტყო ჩვენი ხალხის მებრძოლი სულის უკვდავება, — ერთერთი ბრწყინვალე თარიღია ქართველი ერის საუკუნოვან ისტორიაში.

მაგრამ აჯანყება წინასწარ განწირული გამოდგა. ძლიერმა მტერმა სძლია პატარა, საკუთარი ძალის ამარა დარჩენილ საქართველოს და მხეცური ჟინით ჩაახშო თავისუფლებისათვის მებრძოლთა აღტყინება. ათასობით ავიდნენ ბოლშევიკურ ეშაფოტზე ქართველი ხალხის მოწინავე წარმომადგენლები. მამულისათვის თავი გასწირეს ჩვენი ერის საუკეთესო შვილებმა. აქვითინდა მთელი საქართველო, ატირდნენ ქართველი დედები, გლოვის ზარმა მოიცვა ჩვენი ქვეყანა, ძაძით შეიმოსა საქართველოს მთები და ველები...

დამარცხდა აგვისტოს აჯანყება, მაგრამ მან ისეთი ღრმა კვალი გაავლო ჩვენს ცხოვრებაში, რომ მისი მნიშვნელობა გამარჯვების თანაბარია. მან ცხადჰყო, რომ თვით ბოლშევიზმიც კი უძლურია ჩაჰკლას საქართველოს მაღალი სული, ჩაახშოს მისი სიცოცხლის წყურვილი და შეხლის ის დაუდეგარი ჟინი, რომელიც ჩირაღდანსავით გზას უნათებდა ჩვენს დიდებულ წინაპრების განმათავისუფლებელ ბრძოლას.

აგვისტოს აჯანყების შემდეგ კიდევ უფრო მეტი დამცინავი სადიზმით დაიწყო პარპაში რუსულმა ჩეკამ საქართველოში. ეს მდგომარეობა დღესაც გრძელდება. მაგრამ არც ბრძოლა შეწყვეტილა სამშობლოს განთავისუფლებლად. აგვისტოს გმირების საქმეები დღეს ჩვენთვის, ქართველი მოხალისეებისათვის, წარმოადგენს უდიდეს შთაგონებას, რის სახელითაც ვიბრძვით ასე თავგამოდებით აგვისტოს სისხლში ჩამხშობთა წინააღმდეგ. მაგრამ დღეს ჩვენ მარტო აღარა ვართ, ამ ომში გვეხმარება კვლავ იგივე გერმანიის ძლევამოსილი არმია, ამ არმიასთან ერთად ჩვენი ბრძოლა გამარჯვებით დამთავრდება, ჩვენ პირნათლად მოვიხდით სალმრთო ვალს ჩვენი ქვეყნის წინაშე.

შურისძიება! — პირზე აკერია ყველა ჩვენგანს.

შურისძიება! — ეს არის ძალა, რომ ამოძრავებს ყველა ქართველს, იარაღით მებრძოლთ თუ უიარაღოთ, როგორც სამშობლოს საზღვრებს გარეთ, ისე თვით სამშობლოში.

აგვისტოს აჯანყების 20 წლისთავზე, ჩვენ, ქართველი მოხალისენი, ფიცს ვდებთ აგვისტოს გმირთა საფლავებზე: არცერთი ჩვენგანი არ უღალატებს მამულისათვის თავდადებულთა საქმეს, ბოლომდე იბრძოლებს ჩვენი სანუკვარი ქვეყნის ბოლშევიკთა კლანჭებისაგან გამოსახსნელად!

დიდება მამულის მსხვერპლთ, რომელნიც გმირულად დაეცნენ თავისუფლებისაკენ მიმავალ გზაზე!

აგვისტოს აჯანყების ერთერთი აქტიური მონაწილე, ქართველი ხალხის გმირი ქაქუცა ჩოლოყაშვილი.

1924 წლის აგვისტოს აჯანყება ერთერთი ყველაზე ბრწყინვალე ფურცელია ქართველი ერის თავისუფლებისათვის ბრძოლის ისტორიაში. ეს იყო ქართველი ხალხის ეროვნული აღტყინების უდიდესი აზვირთება, ეს იყო ყველაზე დიდი გაბრძოლება ფეხქვეშგათელილი და ლეჩაქახდილი ხალხისა, ჩვენი დიდებული წინაპრების სისხლის ძახილი საუკუნეთა წყვდიადიდან. დამოუკიდებლობისა და თავისუფლებისათვის მებრძოლი ქართველი ხალხის ძვლებით მოფენილმა და წარსულის სახელოვანი გმირების სისხლით უხვად გაპოხიერებულმა ქართულმა მიწამ მოუწოდა თავის შვილებს მახვილი აღემართათ ქართველი ხალხის არსებობის ხელმყოფთა წინააღმდეგ.

აგვისტოს აჯანყების დროშას ეწერა ქართველი ერის სანუკვარი ოცნება — ეროვნული მონობის მძიმე უღლის გადაგდება. იგი იყო ჭეშმარიტად სახალხო, საყოველთაო აჯანყება, რადგან ბრძოლის ზარმა ერთსადაიმავე დროს შემოჰკრა საქართველოს ყველა კუთხეში: სისხლისმსმელი ბოლშევიზმის, რუსთა თარეშის წინააღმდეგ საბრძოლველად დარაზმული გამოვიდა ერთიანი ქართველი ხალხი: გლეხი, მუშა, მღვდელი, თავადი, ინტელიგენტი და თავგამოდებით დადგა წმინდათაწმინდა ეროვნული დროშის ქვეშ.

აჯანყების ბედი ტრაგიკული აღმოჩნდა, მისი ხვედრი იყო დამარცხება, მაგრამ იგი გამარჯვებას უდრიდა. სამშობლოს განთავისუფლებისათვის გმირულად დაცემულთა სისხლი ზღვას შეუდარდება. ეს სისხლი გვიხმობს დღეს გადამწყვეტი ბრძოლისათვის. აგვისტოს აჯანყების დროშა კვლავ გაიელვებს საქართველოს ცაზე, დაემხობა ბოლშევიკური კართაგენი, აღსდგება ქართული მამული!..

ჯვარცმულო სამშობლოვ! შენი შვილები დღესაც აგვისტოს დროშით ღვრიან სისხლს შენს გამოსახსნელად, თითოეულ ჩვენგანში კოლაპტარივით ანთია შენი სიყვარული და შენთვის თავდადების წმინდათაწმინდა გრძნობა. აგვისტოს გმირთა სახელები, მამულისათვის დაცემულ მსხვერპლთა საქმეები დღესაც გზას გვინათებენ სამშობლოს დაუძინებელი მტრის წინააღმდეგ საღმრთო ბრძოლაში.

დღეს, როდესაც ჩვენ, ქართველი მოხალისეები, ჩაბმული ვართ სამშობლოს განთავისუფლებისათვის სამკვდრო-სასიცოცხლო ომში, როდესაც სწყდება ჩვენი ქვეყნისა და ქართველი ერის ყოფნა-არყოფნის საკითხი, ფიცს ვდებთ ჩვენი ხალხისა და მამულის წინაშე სისხლის უკანასკნელ წვეთამდე ვიბრძოლოთ სამშობლოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის მოპოვებისათვის. ჩვენ, დიდი გერმანელი ხალხის გვერდით დარაზმული ათიათასები, ძლევამოსილად დავასრულებთ აგვისტოს გმირთა დაწყებულ საქმეს!..

სენ მალოს დამცველთა დეპეშა ფიურერისადმი

ფიურერის მთავარსადგომი, 18 აგვისტო.

სენ მალოს ციხე-სიმაგრის კომენდანტმა, პოლკოვნიკმა ანდრეას ფონ აულოკმა ფიურერის სახელზე 17 აგვისტოს გამოსცა შემდეგი რადიოდეპეშა:

„ჩვენო ფიურერო! ბრძოლა სენ მალოსათვის დამთავრდება დღეს ან ხვალ. მტრის ძლიერი ცეცხლის ქვეშ თანდათანობით ინგრევა ჩვენი სიმაგრეები. თუ დავიღუპეთ, დარწმუნებული იყავით, რომ ჩვენ ვიბრძოლეთ სისხლის უკანასკნელ წვეთამდე. ღმერთმა ხელი მოგიმართოთ!

გაუმარჯოს ჩვენს ფიურერს!

პოლკოვნიკი ფონ აულოკი“

ფიურერმა უპასუხა შემდეგი რადიოდეპეშით:

„სენ მალოს ციხე-სიმაგრის კომენდანტს, პოლკოვნიკ ფონ აულოკს.

ჩემი და გერმანელი ხალხის სახელით მადლობას გიძღვნით თქვენ და თქვენს გმირ ჯარისკაცებს. თქვენი სახელი სამუდამოდ შევა ისტორიაში.

ადოლფ ჰიტლერი“.

აჯანყების დღეები

29 აგვისტო...

ქართველი ხალხი იარაღით ხელში გამოვიდა პირსისხლიანი რუსული ოკუპანტობის წინააღმდეგ. მამული განსაცდელშია, თვითეული ქართველი მამულიშვილის ვალია იხსნას მშობლიური ქვეყანა ბოლშევიკთა კლანჭებისაგან...

30 აგვისტო — ბრძოლის სასწორი დამპყრობის სასარგებლოდ იხრება...

31 აგვისტო, 1, 2, 3, 4 სექტემბერი — საშინელი სისხლიანი დღეები... დახვრეტილთა ათიათასები. დღისით ჩეკის სარდაფებს ავსებენ ციხეებიდან გადაყვანილი პატიმრებით, ქუჩებსა და ბინებში ახლადდატყვევებული მოქალაქეებით, ღამღამობით კი მაჩაბლისა და პეტრე დიდის ქუჩებიდან სამი მიმართულებით ეზიდებიან საბარგო ავტომობილები ხელფეხგაკრულ მამულიშვილთა ჯგუფებს. საბურთალოს, ორთაჭალისა და კოჯრის მხარეზე მათ მოელით უწმინდურთა ხელით გათხრილი საფლავები... შეუსვენებლად მოქმედებენ ყოველგვარი ჯურის ჯალათები. რკინიგზის საგანგებო კომისია დამოუკიდებლად მოქმედებს და მასობრივად ხვრეტს როგორც თბილისში, ისე ხაზზე აჯანყებულთა ჯგუფებს...

უარესი ამბავი ხდება პროვინციაში. ნეიმბობითა სახლკარის გადაწვა-გადაბუგვასთან ერთად უპატრონოდ მიტოვებულ ცოლ-შვილთა მიმართ წარმოუდგენელ ძალმომრეობას იჩენენ, ხალხს დაუნდობლად და განუკითხავად ხვრეტენ; ქიათურისა და საჩხერის მიდამოებში დაპატიმრებული მოქალაქეებით სავსე მატარებელს ზესტაფონ-სვირშუა ტყვიამფრქვევს უშენენ და ყველას ერთიანად ხლეტენ... რესპუბლიკის ყველა ციხიდან გაჰყავთ ადრევე პატიმრობაში მყოფთა თუ ახლადდატუსაღებულთა ათეულები... ბათუმისა და ფოთის, სენაკისა და ზუგდიდის, ოზურგეთისა და ქუთაისის, შორაპნისა და გორის, სიღნაღისა და თელავის, დუშეთისა და ბორჩალოს ციხეებიდან მამულიშვილთა ჯგუფები მიემართებიან დამოუკიდებლობის სამსხვერპლოსაკენ...

გამარჯვებული და სისხლით დამთვრალი ხელისუფლება მუსრს ავლებს ქართველ მოსახლეობას. ძუძუმწოვარა ბავშვებიანურთ ამოჟლიტეს რამდენიმე გვარეულობა — ფანიაშვილები, კლიმიაშვილები, მამაცაშვილები სოფელ რუისში (გორის მაზრა). ბავშვები ზოგი აკვანში გასრისეს, ზოგი სარებზე ჩამოაცვეს, ზოგსაც ფანჯრიდან ძირს ისროდნენ. ქალები ჯერ გააუპატიურეს, შემდეგ კი ხანჯლებით დაჰკლეს...

ასე გაუსწორდნენ რუსი ბოლშევიკები თავისუფლებისმოყვარე ქართველ ხალხს...

ბ. შ.

აგვისტოს აჯანყების მონაწილენი, რომ ლებიც დახვრიტეს რუსებმა სოფ. რუისში.

სახალხო გმირი ქართულ ფოლკლორში

ჩვენს ტანჯულ ქვეყანას, თავისი დამოუკიდებლობის შენარჩუნებისათვის, მრავალი ომი გადაუტანია. პატარა ერი უდიდესი სიმტკიცით უმკლავდებოდა ყოველი მხრიდან მოზღვავებულ მტერს და მრავალჯერ სასტიკად ამარცხებდა კიდეც.

სამშობლოს მიწა-წყლისათვის განუსაზღვრელი საკვირველი ზრდილა თვითეულ ქართველში ბრძოლის უნარს. ჩვენი გაცხადებული სისხლის უკანასკნელ წვეთამდე გმირულად იბრძოდნენ სამშობლოს ყველა ჯურის მტრების წინააღმდეგ. ამ ბრძოლებში არაერთი და ორი ქართველი გმირის გამოუჩენია თავი. ქართველმა ხალხმა თავისი არსებობის ისტორიის მანძილზე წარმოშვა მრავალი ერთგული გმირი, რომელთა თავდადება სამშობლოსათვის დღესაც მაგალითს უჩვენებს ყველა მამულიშვილს.

ასეთ გმირებს შორის თვალსაჩინო ადგილი უკავია ქაქუცა ჩოლოყაშვილს, რომლის მთელი ცხოვრება იყო თავგამოდებული ბრძოლა მამულის დამპყრობთა წინააღმდეგ. მის იდეებს წარმოადგენდა საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობა და ამ იდეის ერთგული დარჩა ბოლომდე. მხნე და გულადი ვაჟკაცი, ქართველი ახალგაზრდობის ღირსეული წინამძღოლი და ბელადი იყო ჩვენი ქაქუცა. მას შემდეგ, რაც რუსეთის წითელი არმია ძალით შემოიჭრა საქართველოს მიწა-წყალზე, ქაქუცა ჩოლოყაშვილი თავის ამხანაგებთან ერთად ტყეში გავიჭრა და იქიდან დაუწყო ბრძოლა რუსეთის საოკუპაციო არმიას. მან თავისი გმირული ბრძოლებით ქართველი ხალხის დიდი სიყვარული დაიმსახურა. მადლიერმა ერმა ეს გრძნობა ქაქუცასადმი ყოველმხრივ პრაქტიკულ დახმარებასა და მრავალრიცხოვან ლექსებში გამოხატა. ეს ლექსები საქართველოს ყოველ კუთხეშია შექმნილი და გავრცელებული. ამ სიმღერებში სჩანს ქართველი გლეხის თილი პოეტური აღმაფრენა და ის მარადიული ბრძოლის ცეცხლი, რაც ჩაუქრობლად ღვივის და გიზგიზებს თვითეული ჭეშმარიტი ქართველის გულში.

ქართულ ხალხურ პოეზიაში ქაქუცას მოღვაწეობის ეს პერიოდი შემდეგნაირად არის გამოხატული:

„ხმა გავარდა კახეთში:
ქაქუც გასულა ველადა,
შეუკრებია ვაჟკაცნი
სამშობლოს დასახსნელადა.
რჩეულ-რჩეული ვაჟკაცნი
ჩამსხდარან იარაღშია,
რუსთ ჯარს არ აწყნარებენ
მთაში, ველში თუ ბარშია,
შეშინებული ჩეკაი,
ველარ გამოდის კარშია"...

აქედან იწყება მისი და „შეფიცულთა" გმირული მოქმედება. ქაქუცა თავზარს სცემს საქართველოს სხვადასხვა კუთხეში დაბანაკებულ რუსეთის ჯარის ნაწილებს, მონაწილეობს გამოსვლებში ბოლშევიკთა წინააღმდეგ, რისთვისაც უღიღინებს ქართველი ხალხის ამჩრიაკებელთ:

„შენი ჭირიმე, ქაქუცავ,
ქართველ ლაშქართა ბელადო;
მტრის მოგერება გცოდნია,
გამუსვრა ხელდახელადო.
სოფელ აწუხებ ჯალათნი
აღარ იძღობენ ხალხსაო.
უძღოლთ სოფელ ჰკიდავენ,
მიტომ ეძებენ თავსაო.
შენ განდი ჩვენსა საშველად,
კახეთს აგრიგებ ჯარსაო.
ოღონდ გვიშველე, ქაქუცავ,
მოგცემთ ქუდზედაც კაცსაო".

ქაქუცა თავისი გმირული მოქმედებით აღტაცებას იწვევს ქართველ ხალხში:

„რვა შეფიცულით რუსებსა
დაეცა გომბორის ყელზედა,
შეიბრძოლა მთელი მიდამო,
ყვირილითა და ხოკითა,
ექვსასი რუსი სალდათი
ცხენზე დაკრული თოკითა
გამოიყვანა ბიჭიკებ
ორხევის გაღმა ველადა,
სიცილითა და თარეშით
ბელადს მოართვა ძღვენადაო".

ერთი უსახელო სახალხო პოეტი ასე მიმართავს გმირს:

„ტანზე აისხი აბჯარი,
თავზარი დაეც მტერსაო,
ყიფულის შიბლი დააწვა
ფშავ-ხევსურეთის მთებსაო,
წინაპართ დროშა ალმართე,
მტვერ-სისხლში ამოვლებული,
შენ შეგხაროდა ქვეყანა
დიდებით დამბლეწული!
იძლია მცირე ლაშქარი,
ხმალი ქარქაშში ჩააგე,
ახალ ბრძოლის ჟამს ელოდე,
თუმც კრ-პირველი წააგე.
შეფიცულები თან გახლდნენ,
შემოგხვეოდნენ გარსაო,
თანაბრად იზიარებდნენ
თაჟის ბელადის ჯავრსაო.
დასტოვე შენი ქვეყანა,
სხვის მხარეს შეიხიზნე,
ღვიძლი ბუნება გწყუროდა,
ვერ შეითვისე უცხო ზნე.
ჭირილობის განსაკურნებლად
ველარ იშოვე წამალი,
მოჰკვდი სამშობლოს წუხილით,
ვაჰ, რომ გალაღდა მტარვალი!.."

კიდევ სხვა მრავალ ლექსებშია გამოხატული ქაქუცას გმირული ბრძოლები. ქართველმა ხალხმა ღირსეული ხოტბა შეასხა თავის სახელოვან შვილს და მას სამარადისო ხელთუქმნელი ძეგლი დაუდგა.

მოხ. თამაზ ჩოხელი.

აგვისტოს აჯანყება

დ. ხალირაშვილი

ოცი წლის წინათ, 29 აგვისტოს, მოხდა ქართველი ხალხის ამბოხება იმ ძალის წინააღმდეგ, რომელიც სულთამხუთავსავით დააწვა მას 21 წლის სუსხიანი თებერვლის დღეებიდან და მის ეროვნულ ორგანიზმს, ახლადდაბადებულს, ჯერ-კიდევ გაუფურჩქნავს, მოსპობით ემუქრებოდა.

ჩვენ არ ვიცით აჯანყების მეთაურნი ამ დღის დანიშნისას რით ხელმძღვანელობდნენ, მაგრამ ეს დღე სიმბოლურად უნდა ჩაითვალოს, ვინაიდან 1905 წელს, ამავე 29 აგვისტოს, მეფის რუსეთის ყაზახობა, თოფებით შეიარაღებული, თავს დაესხა თბილისის თვითმართველობაში შეკრებილ ქართველ მუშებს, რომელთაც განზრახვა ჰქონდათ პროტესტი და აღშფოთება გამოეცხადებინათ თათარ-სომეხთა ქლეტის წინააღმდეგ, რომელიც გამოწვეული იყო იმავე მეფის მთავრობის აგენტების პროვოკაციული „საქმიანობით" კავკასიაში. ამ დღეს 200 ქართველი, მოკლული და დაჭრილი, შეეწირა ამ უმაგალითო მხეცობას. მაგრამ იმ აუწერელმა მტარვალობამ, რაც ჩაიდინეს გაფითლებულმა რუსეთმა და მისმა ქართველმა, სომეხმა, რუსმა და სხვა მრავალი ჯურის აგენტებმა, ნათლად გადააჭარბა პირველს ამიტომაა, რომ ქართველ ხალხს და უცხო, გაბატონებულ ძალას შორის სამუდამოდ გაითხარა უფსკრული, რომლის ამოვსება არავითარ ძალას აღარ შეეძლია.

აგვისტოს დღეები გადაიქცა ქართველი ხალხისათვის ერთსადაიმავე დროს გლოვისა და ბრძოლის დღედ იქ, სამშობლოში და აქაც ლტოლვილობაში. ყოველი ჭეშმარიტი ქართველი მოწიწებით დგონებს ამ წელს, წმინდა სისხლს, დანთხეულს სამშობლოს თავისუფლების საკურთხეველზე.

დღეს ჩვენი განზრახვაა შეძლებისამებრ წარმოვადგინოთ სრული, მთლიანი სურათი აგვისტოს აჯანყებისა, აღვნუსხოთ ის მიზეზები, რამაც გამოიწვია იგი, მოვუთხროთ მკითხველს — როგორ მოეწყო აჯანყება, რა ძალები იღებდნენ მასში აქტიურ მონაწილეობას, რა მიზნებს ისახავდა ეს ხალხური ამბოხება და რა იყო მიზეზი მისი დამარცხებისა.

*

ხალხი აჯანყებას არასოდეს თვითონ არ აწყობს, ვინაიდან იგი არსებითად უდიდესად მშვიდობისმოყვარულია. მას ვერავითარი მოწოდებით ასე უბრალოდ ვერ აამხედრებ. პირიქით, აჯანყებას „ყოველთვის აწყობს, ანუ უკეთ, იწვევს თვით მისი უღირსი ხელისუფლება. ხალხი უკიდურეს გაბოროტებამდე უნდა მიიყვანოს ხელისუფლების უკანონო, ხალხის საარსებო ინტერესების წინააღმდეგ ზომების გამოყენებით, რომ იგი, მოთმინებიდან გამოსული, ამხედრდეს, იარაღს მოჰკიდოს ხელი, სამუშაოს მიანებოს თავი და ქუჩაში გამოვიდეს. და თუ ხალხი თავის საკუთარი ხელისუფლების შეუწყნარებელ ზომებს ვერ უთმენს, მით უმეტეს დამონებული ერისათვის გაბატონებული, უცხო ძალის ყოველი ასეთი ნაბიჯი ორმაგად მწვავეა და აუტანელი. ასეთ მდგომარეობაში იყო ქართველი ერი დღიდან ბოლშევიკური, ეგრეთწოდებული, შეუღვრის მთავრობის გაბატონებისა. რა მოხდა?

ქართველმა ერმა, ისარგებლა რა რუსეთის მეფის ტახტის დანგრევით, თავი რომ დაიღწია იმ ანარქიისაგან, რომელიც მოჰყვა უშველებელი ტერიტორიის განზარვას, თავი დამოუკიდებლად გამოაცხადა. ქართველ ხალხს ამის ყოველგვარი უფლება ჰქონდა: ისტორიული, პოლიტიკურ-უფლებრივი, მორალური და ადამიანური, სულ რომ არ იყოს, წმინდა ინსტინქტი თავის გადარჩენისა უკარნახებდა ამას. ეს დამოუკიდებლობა მან მიიღო აღფრთოვანებით და სრულიად ბუნებრივად. ქართველი ხალხი შეუდგა თავისი ცხოვრების მოწყობას ისე, როგორც მას ესმოდა, შეეძლო და უნდოდა, ხოლო ამ შემოქმედებისა და მუშაობის პროცესში ის დარწმუნდა საკუთარ ძალაში, ვინაიდან, მიუხედავად არახელსაყრელი პირობებისა, მრავალი გარეშე დაბრკოლებისა, მტრულად განწყობილი ძალებისა და, გარდა ამისა, რომ ვთქვათ, საკუთარი ხელისუფლების გამოუცდელობისა და სისუსტისა, მისი ცხოვრება ნორმალურ მსვლელობას იღებდა. ქართველი ხალხი საღი ინსტინქტისა და მაღალი ინტელექტის მქონე, თვითმოქმედებას შეჩვეული, რომლითაც განთქმული იყო მთელ კავკასიაში და თვით რუსეთში, ნათლად ხედავდა დამოუკიდებელი ცხოვრების უპირატესობას არამარტო ეროვნულად, კულტურულად, არამედ ეკონომიურადაც კი, ვინაიდან იმ დროს, როდესაც მთელი რუსეთი ანარქიის ქაოსში იყო გახვეული, საქართველო წარმოადგენდა ერთგვარ ოაზისს, შედარებით მშვიდობიან კუნძულს ამ ამბობოქრებულ ზღვაში. ამას ადასტურებდნენ ის მრავალი უცხო პირები — უკრაინელები, რუსები და სხვანი, რომელნიც საქართველოში ჰპოულობდნენ სამშვიდობოს. მიუხედავად სახელმწიფოს ნორჩი ორგანიზმისა, მისი ფინანსები ყველა მეზობელი ერების ფინანსებზე მაღლა იდგა კურსით. ახლადგამოშვებული ქართული ფულის ნიშნები ფასობდა სომხეთისაზე თორმეტჯერ მეტად, აზერბაიჯანის ფულზე ხუთჯერ, რუსეთისაზე ოცდაათჯერ და სხვ., ეს იმ დროს, როდესაც საქართველო ღარიბი იყო წარსულში კაპიტალით, და, ფინანსთა მინისტრი გიორგი ჟურულის თქმისა არ იყოს, ქართულ ხაზინაში ოქროს ნასახიც არ მოიძებნებოდა. სამაგიეროდ ის იყო მდიდარი ბუნებით, შრომით, შეგნებული გლეხობითა და წესიერი საზოგადოებრივი ცხოვრებით. ქართველმა ერმა თავისი თავი იცნო. ის საკუთარ თვალში ამაღლდა. მან შეიგნო მთელი თავისი არსებით, თუ რას ნიშნავს დამოუკიდებელი, საკუთარი ცხოვრება და შეიყვარა მისი სიტკბოება. მის სიამაყესა და სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა, როცა ევროპის სახელმწიფოებმა ჯერ ფაქტიურად, ხოლო შემდეგ იურიდიულადაც იცნეს საქართველო საბჭოთა რუსეთისაგანაც ხომ იქნა ცნობილი, როგორც სუვერენული სახელმწიფო? ამრიგად, ქართველმა ხალხმა ალიდგინა დიდიხნის წინათ დაკარგული დამოუკიდებლობა, შექმნა საკუთარი ოჯახი, რომელიც, როგორც თავისუფალი წევრი, შევიდა საერთაშორისო ოჯახში. დამოუკიდებლობა, ცუდი იყო თუ კარგი, ეს იყო მისი პირმშო შვილი, ამიტომ უყვარდა იგი, და რომელი დედა იტყვის თავის შვილზე, რომ ის ცუდია! აი, რა წაართვეს ქართველ ხალხს მოსკოვმა და მისმა დამქაშებმა. და როგორ შეიძლებოდა, რომ მთელ ერს საშინელი ტკივილებით არ განეცადა ეს დანაკარგი. მტერი თვით გრძნობდა იმ უსაზღვრო უსამართლობას, რომელიც მან ჩაიდინა ქართველი ხალხის მიმართ და ამიტომ იყო, რომ თვით ლენინის წერილი საქართველოში მომუშავე კომუნისტებისადმი მოუწოდებდა მათ ფაქიზად მოპყრობოდნენ ქართველ ხალხს.

როგორღა მოიქცა ახლადგაბატონებული ხელისუფლებაც? ჯერ იყო და შემოსევის პირველ თვეებშივე, მაშინ გამო, რომ ქართველი ხალხი დამოუკიდებლობის დღეს, 26 მაისს, მაინც იდღესასწაულებდა, მასობრივი დატუსაღება მოახდინა. ციხეე-

რაინდობის ჯვრით დაჯილდოებული გენერალი ფრიტერ-პიკო აღმოსავლეთის ფრონტზე.

ბრძოლა კვლავ გრძელდება

მოხალისის მოგონებიდან

1924 წლის აგვისტო... ქართველმა ხალხმა კიდევ ერთხელ სცადა გადაეგდო მონობის უღელი. კიდევ ერთხელ გადაიშალა ნაბადი ბნელი ძალებისაგან სამშობლოს განთავისუფლებისათვის. უთანასწორო ბრძოლა მიიღეს ქართველმა პატრიოტებმა, მაგრამ მათ არ აშინებდათ შიში და უკანდახევა, რადგანაც საქმე სამშობლოს დამოუკიდებელ არსებობას ეხებოდა.

დაიძრა ქართველი გლეხკაცობა, ფეხზე შედგა მუშა, ქართველი მოწინავე ინტელიგენცია. მათ ამოძრავებს ერთი მიზანი — დაიხსნან მამული ბოლშევიკური კლანჭებისაგან... იარაღით ხელში, სამშობლოს ბრწყინვალე მომავლისათვის!

დაუვიწყარია ეს დღეები ჩემთვის... დედაქალაქის ქუჩებზე მაშინ უჩვეულო მოძრაობა იყო... სტუდენტთა საერთო ბინაში ვცხოვრობდი, მოსკოვისა და ოლღის ქუჩის კუთხეში. ქართველი სტუდენტობა გულისფანცქალით მიელოდა აჯანყების დაწყებას. ჩვენ დიდი ენთუზიაზმით ვადევნებდით თვალყურს ამბების განვითარებას და ველოდით ნიშანს მოქმედების დასაწყებად. ბევრ ჩვენგანს იარაღიც ჰქონდა ჩამომზადებული ამ დღისათვის.

საერთო ბინაში დილიდანვე რაღაც განსაკუთრებული განწყობილება სუფევდა. დაბლა მხოლოდ ელოდებოდნენ „უნტაურის" ჯგუფები. კომკავშირლები უთვალთვალებდნენ ... შემჩნეულნი, ... „ბედისას" არ იყო წყენილი და ... ... ჯგუფებში საერთო ... ... ჩვენ კი, ქართველი ხალხის ნამდვილი შვილები, მხიარული სახეებით, გამბედაობითა და თავგანწირვის გრძნობით აღსავსენი, მზად ვიყავით გავეწირეთ თავი და ჩვენი წვლილი შეგვეტანა საერთო საქმეში.

ქუჩებზე ცხენოსანი მილიციისა და ქვეითი ჯარის ნაწილები გამოჩნდნენ. საერთო საცხოვრებლის წინ ბოლშევიკების ოთხი ტანკი გაჩერდა. სტუდენტების დიდი ნაწილი, ხომ ბოლშევიკების საწინააღმდეგოდ განწყობილი და სიფრთხილე ზედმეტი არ იქნება. ტანკები შიგ ყურნებიდით სჩანან „ზე-

ჩელის" მოედანზე. ქვემოთ ლილები გახიცელიან ვერის დაღმართს და ოლღის ქუჩას, ნაწილს კი ჩვენგან მოუფარია თავისი ბნელი ხაზი...

შეუმჩნევლად გამოვედით ბინიდან. სად მივდივართ, ჯაშუშებმა არ უნდა გაიგონ. ყოველ ნაკლებ სახიფათოზე მოვიკვლიეთ თავი. კარგად არ ვიცოდით, როდის იყო დანიშნული აჯანყების დაწყების დრო. გადავწყვიტეთ გავსულიყავით ხელი ჩაგვეჭიდა აჯანყების მომწყობ ხელმძღვანელებთან. მათ ზუსტად უნდა გაეგოთ, სად და როდის უნდა ჩავებმულიყავით გამოსვლებში.

სამწუხარო ამბავი მოვისმინეთ ... აჯანყება დაიწყო ... ... თბილისის სხვა ქალაქებში და სოფლებში ... ... ხელმძღვანელები დაპატიმრებული არიან. ... კომიტეტი ... ... სისხლის ზღვაში ჩაახრჩეს აჯანყებულნი. ... ამის გამო, ცხადია, თბილისში გამოსვლა საჭირო აღარ არის, ზედმეტ და უსარგებლო მსხვერპლს გამოიწვევს.

ჯალათები ზეიმობდნენ... კვლავ იტანჯა ქართველი ერი, კვლავ მოირწყო ქართველი მიწა თავისუფლებისათვის მებრძოლთა სისხლით, ... ქართველთა გულში სიყვარული ... თავისუფალი ცხოვრებისა. ჩვენც დავბრუნდით უკან ბინაზე. ... ... ჩვენი ბრძოლაც ქართული ... დღეების ...

ქართველმა ხალხმა მრავალი საინტერესო ფურცელი ჩაწერა თავისუფლებისათვის ბრძოლის ისტორიაში. ამ ფურცლებით ამაყობს არამარტო მთელი ქართველი ერი, არამედ მთელი მსოფლიო, ვისაც კი ძვირად უღირს სამშობლოს თავისუფლება...

ქართველი ხალხის ეს ბრძოლა დღესაც არაა დასრულებული. იგი დამთავრდება მხოლოდ მაშინ, როდესაც საქართველო საბოლოოდ მოიცილებს რუს დამპყრობელთა ბორკილებს და ქართულ მიწაზე თავისუფლების დროშა აფრიალდება.

მოხ. ბ. რიონელი.

[illegible]

(აგვისტოს დღეებში)

მოხ. ვ. შარდოელი

მიწას ცრემლებად დაეკვრის დილით ვარდები:
შენ შემომხედე ამ ჭაღარას, ღმერთო სუფევ!
ლაშის დავიქცი... ჯოჯოხეთის ალი ედება
მხოლ დამინდე და შენით შექმნილ საქართველო!..

ცაზე მისწრა... გადარების სხივი ჯერ არ ჩანს,
უხმოდ ვუცქერით აისრების ხანი წლის შემდეგ...
თუ ეს ვადრიძელდა, თუ ეს მხეცი აქ დარჩა,
რაღა იქმნება საქართველოს ასი წლის შემდეგ?!..

შენ გვიდარაჯე წარსულ დროში გაჭირვების ჟამს,
შენის სახელით გვიჩხვლეს მტერი ვერაგი, —
ახლაც მოგვხედე, ღმერთო, — ძლიერ გავჭირვებით, —
ოთხი ათასი წლის ნათესაობის მივცემთ ვერავის!..

რა უნდათ ნეტავ?.. რით მოგვიშრიტენ? რით გვაწამებენ?!
რით გვიოხრებენ ჩვენის ოფლით შექმნილ ეზო-კარს?
ვის რა წავართვით?.. რა მტაცებლურ ზრახვებს გვწამებენ?
რა ოქროები მოვიპარეთ, რომ მათ გვაცხოვრა?!

ამ ტუსაღეთ, სიმდიდრით უხვ დედამიწაზე
მცირე ნაჭერი მოგვეცა და ამას დავჯერდით.
ლოცვა ხარ, ღმერთო, ამისთვისაც დიდ მადლს გწირავდით,
მაგრამ... თან რატომ ჩაგვისახლე რუსის ჯარები?!

უსაზღვრო სივრცე დაიპყრა მისთვის, უფალო,
არამცთუ მიწა, — უხვი არის მის ცის კაბადონი,
მაგრამ მაინც კი ძალა არ აქვს — თვის უვალოდ
და ტრამალებზე დღესაც დარჩა ძაძის ამარა!..

ჩვენ რას შეგვჩიტებს? რას მოგვიტანს, რა ფერუცვალებს?! —
ანგრევს ცისკრით, ეკლესიებს, ტაძარ-მონასტრებს...
ახალს რას შეგვქმნის — რაც იყო ის მოლაიდ ფურმქროლდება,
გული მოკლეს და ხათრებს ვერცხლით ზომავენ...

კვლავ მტრულმოჭრილნი გვავერებით, ღმერთო მაღალო:
გადმოგვხედე შენი ყოვლისმხედველი კალთა,
მოგვეც უფლება — ჩვენი თავი ჩვენვე განვაგოთ,
და არავიზე დავეყრდნობით მხეცსა და ავთარს...

დღეს ჩვენ ავესხდეით... ეს ლამაზი აგვისტოს დილა
ახლით მოგვიტანს გამარჯვების თავისუფლებას!..
თავს არ ვინდობთ, — ცეცხლის ზღვაში შეველსი მივალთ,
ან გავიმარჯვებთ, ან მოლიანად დავიღუპებით!..

ღმერთო, გვიშველე!.. ღმერთო, მოსპე მტერი ვერაგი,
ხელახვეჭილი გვევლინებით ქართლის დედანი!..

როცა ჩადგა ქარიშხალი...

იმ დროს, როდესაც რუსეთის ჯარი ჯალათი ჩეკისტების მეთაურობით უიარაღო ხალხს ხვრეტდა, ზოგან მკვდრებიც არ იყო დამარხული და არც მებრძოლთა სისხლით გაჟღენთილი მიწა გამშრალი, მთელი ხალხი გასაოცარი გაბედულებით დაჭრილ ლომებივით წამოიჭრა, ეროვნული სასიცოცხლო ძალების გადარჩენას შეუდგა...

პირველად ხალხმა ბრძოლის ველიდან დაჭრილები გაიტაცა, სახლებში, ბეღლებში, სასიმინდე-ნალიებში, ტყეებში, საიმედო ალაგას გადამალა. კარიბჭეთინან მეურნე გამოცდილი დედაკაცები, მოხუცებისა და ჭრილობის მკურნალი ბაჭიაშვილის, თურმანიძე-ორბელიანის მიერ დაზრდილი ვაჟკაცები საიდუმლოდ მიდიოდნენ, ჭრილობებს მაგარი არყით ბანდნენ, ბალახმცენარით შეზავებულ მალამოს ადებდნენ...

ჩვენი მადლიანი დედები, მოსიყვარულე დები დაჭრილებს დღედაღამ თავს ადგნენ, ჩუმად, სიფრთხილით უვლიდნენ, ალერსით ტანჯვას უმსუბუქებდნენ.

სამეგრელოდან, იმერეთიდან შემთხვევით გადარჩენილ მებრძოლებს წინ მიუძღოდნენ ღრმა მოხუცები, რომლებსაც თოვლივით თეთრი წვერი წელზე სცემდათ; ღამე საიდუმლო გზით გურიაში მიჰყავდათ, აქედან კი ოსმალეთში გადაჰყავდათ, „მეფისწულებს", ქაქუცა ჩოლოყაშვილის მეთაურობით, მთებიდან მთებზე აცოცებდნენ, აზერბაიჯანისა და სომხეთის საზღვარზე აცილებდნენ: ვაჟკაცურად, მანამ იყავით, ჩვენი თავი სამშობლოს სჭირია, — ეუბნებოდნენ. ასე გაიყვანეს, მაგალითად, მიხეილ ლაშქარაშვილი ქართლიდან... თბილისსა და მის ახლომახლო მდებარე სოფლებში ერთი წლის განმავლობაში იმალებოდნენ აჯანყების მრავალი სულისჩამდგმელნი, რომლებიც შემდეგ მოსახლეობის დახმარებით სამშვიდობოს გამოვიდნენ...

ვ. თ.

ბი გაიცნო ქართველი ინტელიგენციით, მუშებითა და უბრალო მოქალაქეებით. ეს იყო პირველი დიდი იერიში ხელისუფლებისა. ამავე ენდობლობამ, ვინაიდან ხელისუფლება განსაკუთრებულად გრძნობდა თავს, და რუსეთში შეჩვეულმა პრაქტიკამ, ავტომატურად აამოქმედა ყოველგვარი რეპრესიები ქართველთა წინააღმდეგ. ქართველი გახდა დევნისა და შევიწროების საგანი, უმთავრესად სატახტო ქალაქ თბილისში, რომელიც უცხო ელემენტებით გაივსო. ამას მოჰყვა რუსი მუშების ჩამოყვანა რუსეთის შიდა გუბერნიებიდან და დასახლება საქართველოს რაიონებში. გააუქმეს ქართული ფულის ნიშნები და შემოიღეს რუსული, რაც ნიშნავდა საქართველოს სავაჭრო-საბაჟოებლის ყაჩაღურად წართმევას. ეს ზომა ისეთი უხეში და დაუფარავი ძალმომრეობა იყო საქართველოს ეკონომიკის წინააღმდეგ მოსკოვის სასარგებლოდ, რომ თვით ფინანსთა კომისარმა ალიოშა სვანიძემ და მასთან ბევრმა ქართველმა კომუნისტმა, ვერ მოითმინა და აშკარად შეებრძოლა მას. მაგრამ სპეციალურად საქართველოს ფინანსების სიდუხჭირის დასამხობად მოსკოვიდან გამოგზავნილმა რუსმა იმპერიალისტმა გაიმარჯვა. აქ საყურადღებოა, რომ სვანიძის, თუგინდ კომუნისტის, პოპულარობა ქართველ ხალხში გაიზარდა. მთელი შეგნებული ქართველობა მას ამოუდგა გვერდში, დაიმედებული, რომ იქნებ ქართველ კომუნისტს მაინც შესძლებოდა ქართული ინტერესების დაცვა, მაგრამ...

დამარცხებული სვანიძე მოსკოვში გაიწვიეს. ამ საკითხში წითელი მოსკოვი უფრო იმპერიალისტური გამოდგა, ვიდრე მეფის რუსეთი, რომელიც ურიგდებოდა ფინეთის ფულის ნიშნებს. ქართველი ხალხის ასეთი შეხედულება ფულის საკითხში, მხარისდამჭერა კომუნისტი სვანიძის მიმართ, ზედმეტად ამტკიცებს, რომ მას არ სურდა უაზრო მსხვერპლი გაეღო, თუ შესაძლებელი იქნებოდა მოპოვებული დამოუკიდებელი ცხოვრების მინიმალურად შენარჩუნება, თუგინდ კომუნისტურ სამოსელში.

ამ განწყობილების მაჩვენებელია 1921 წლის 10 აპრილის რეზოლუცია, მიღებული სახაზინო თეატრში დიდ ყრილობაზე, რომელიც ფილიპე მახარაძის ნებართვით იქნა მოწვეული. ამ ყრილობაზე, რომელსაც უმთავრესად დაესწრნენ თბილისის ქართველი მუშები, მათ რიცხვში მრავალი ძველი მებრძოლი თვითმპყრობელობის წინააღმდეგ, სრულიად ნათლად გამოირკვა დამსწრეთა სურვილი თავიდან აეცდინათ ახლადდამყარებულ ხელისუფლებასთან სისხლიანი შეჯახება, ისინი გადაჭრით წინააღმდეგი იყვნენ იარაღით ხელში შექმნილი მდგომარეობის გამოსწორებისა, მხოლოდ ზომებს გამოსთქვამდნენ, რომ ქართველი ხალხის არსებითი, ეროვნული ინტერესები ახალი ხელისუფლების მიერ დაცული იქნებოდა და იგი შექმნიდა ნორმალურ მდგომარეობას საქართველოში. რით უპასუხა ხელისუფლებამ იმჟამად ქართველი ხალხის აქტიური ნაწილის ასეთ ლოიალურ განწყობილებას? მხოლოდ დევნითა და დატუსაღებით. შთაბეჭდილება შეიქმნა, რომ კრება ნებადართული იყო იმ მიზნით, რათა ჩეკისათვის გაეადვილებინათ „საქმიანობა". ასეთსავე საშუალებას მიმართა სოსო ჯუღაშვილმა, რომელმაც აშკარა პროვოკაციის ხასიათი მიიღო. მან კარგახანია საქართველო აღარ ენახა და ოკუპაციის წელშივე, აგვისტოში ჩამოვიდა თბილისში. ჯუღაშვილმა მოაწვევინა ნაძალადევის თეატრში მუშათა კრება, რომელზედაც გააკეთა მოხსენება, თუ რატომ შევიდა წითელი ჯარი საქართველოში. მან განიზრახა იმ ნაბიჯის გამართლება, რომელიც ჩაიდინა მოსკოვმა და ბოლოს, ორიათასიანი აუდიტორიის წინაშე, შემდეგი განაცხადა: „რა წავართვით ბოლშევიკურმა ძალამ, რაზე ხართ უკმაყოფილო, გთხოვთ დღეს აქ სრულიად თავისუფლად ილაპარაკოთ". რასაკვირველია, მოლაპარაკე ბევრი აღმოჩნდა და პასუხი ქართველი მუშებისა სრულიად მოულოდნელი გამოდგა მისთვის. ის იქ, უხმო რუსეთში, არ იყო შეჩვეული ასეთ გამოსვლებს მის წინააღმდეგ. მას მუშა ორატორებმა და ძველმა რევოლუციონერებმა, მოხუცმა ისიდორე რამიშვილმა და ალექსანდრე დგებუაძემ გაბედულად წაუყენეს მთელი რიგი ბრალდებანი, თუ როგორ ახადეს ქართველ ხალხს ნამუსი და შეურაცხყვეს მისი სიწმინდენი, იხმარეს ძალადობა, წაართვეს რაც მას თავისუფალი ცხოვრების უფლება. მუშათა აუდიტორიამ ორატორებს ასეთი გაბედული სიტყვებისათვის ოვაცია გაუმართა. ჯუღაშვილი, რომელიც უცხო იყო ყოველთვის ქართველი ხალხისათვის, განმარტოებული იდგა თავისი ჩეკისტებით გარშემორტყმული, პირმწრალი, დადუმებული, მომღიმარი, იმ „მეფისტოფელური" ღიმილით, რომელიც იფეთქებს ხოლმე შემდეგში და შეუბრალებელი სიმკაცრით დაისჯის მოწინააღმდეგეს. ეხლაც ასე მოხდა. მან კრების დამთავრებისთანავე მოაწვევინა საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი და იგი დაშლილად გამოაცხადა. მთავრობის შემადგენლობა შეცვლილ იქნა. მან განაცხადა, რომ აქ კომუნისტები კი არ ყოფილხართ, არამედ ლაჩრები, დელიკაცები და რომ საჭიროა საქართველოს სხეულზე გახურებული უთოს გავლება.

ეს გახურებული უთო მართლაც მოხვდა ქართულ სხეულს და ძალიან მწვავედაც. ჯუღაშვილი წავიდა მოსკოვში და საქართველოს ციხეები გაიტენა პატიმრებით. განმეორდა დახვრეტა ქართველი პატრიოტებისა. სტიქიური აჯანყების ალი მოედო ხევსურეთს, კახეთს, სვანეთს, ხალხი შეიძრა, აქტიურმა ელემენტებმა ფარული ორგანიზაციების მოწყობა დაიწყეს. ქართველი მხედრობა კი ხალხის ასეთ გამოსვლებს სათავეში ჩაუდგა. გასაგებია, რომ ასეთ პირობებში დაპატიმრება გახშირდა და დახვრეტებმაც იმატა. ამან კი თავის მხრივ ხალხის ყოველი წრე აამხედრა მოსკოვის წინააღმდეგ. ასეთმა მდგომარეობამ 1923 წ. 19 მაისამდე გასტანა, როდესაც მოხდა საშინელი, შეუძარწყნებელი ამბავი და ქართველ ხალხს გული შეუზარა. ამ დღეს დახვრიტეს ქართული მხედრობის საუკეთესო ნაწილი, თხუთმეტი ბრწყინვალე ქართველი მხედარი, რომელთაც სამხედრო ორგანიზაციის წევრობას აბრალებდნენ.

ამას მოჰყვა 92 მოწინავე ქართველის: მასწავლებლების, ექიმების, ინტელიგენციის, მუშებისა და გლეხების დახვრეტა ცნობილი კომუნისტი ოჩოლაძის მოკვლის გამო. ეს უკანასკნელი ორი მასობრივი დახვრეტა გახდა პირდაპირ ნიშნად ხალხის აბობოქრებისა. ქართველ ხალხს მოთმინება დაეკარგა და არავითარ ძალას აღარ შეეძლო ხელი შეეშალა მისი წადილისათვის ერთხელ კიდევ შებმოდა მტერს აშკარა ბრძოლაში. ამიტომ, როცა იბადება კითხვა, რა იყო მიზეზი ქართველი ხალხის აჯანყებისა, ჩვენ სხვაგვარად არ შეგვიძლია ვუპასუხოთ, თუ არა იმ სრული სურათის წარმოდგენით, რაც მოხდა 1921 წლის 11 თებერვალს, როდესაც მოსკოვი ვერაგულად შემოესია საქართველოს ომის გამოუცხადებლად და უსირცხვილოდ დაარღვია მოსკოვშივე დაწერილი ხელშეკრულება. შემდეგ მოსპო რა ქართველი ხალხის დამოუკიდებელი ცხოვრების ყოველი ნასახი, სამი წლის განმავლობაში უმაგალითო, სადისტური ტერორით საქართველოს სხეული სჯიჯგნა, აწვალა, მისი სულიერი სიმშვიდე დაარღვია, რასაც არ შეიძლება აფეთქება არ გამოეწვია.

✲

ქართველი ხალხი საყოველთაო აჯანყებისათვის თვით მოსკოვმა და მის მიერ დაყენებულმა, მრავალჯერ შეცვლილმა

დასასრული მე-8 გვ.

ცნობილი გერმანელი მფრინავი, გენერალ-მაიორი ბარხვიცი თავისი თვითმფრინავის საჭესთან.

გლეხთა ხელმძღვანელების მიღება დოქტორი გებელსის მიერ

ამ დღეებში იმპერიის მინისტრმა დოქტორმა გებელსმა, იმპერიის მინისტრ ბაკეს თანდასწრებით მიიღო ბერლინში ყრილობაზე ჩამოსული გლეხთა სოლქო ხელმძღვანელები. დოქტორმა გებელსმა მიმართა მათ სიტყვით, რომელშიც მოკლედ შეეხო 20 ივლისს მომხდარ ამბებს და აღნიშნა, რომ ეს ამბები გადაიქცა მთელი გერმანიის ხალხის ტოტალურ და უკომპრომისო მობილიზაციის საბაბად. ამის შემდეგ მან გააშუქა საკითხი კვების მდგომარეობის შესახებ.

სამხედრო მრეწველობის ნაყოფიერ ზრდასთან ერთად, სხვა ყოველგვარი მეურნეობის წარმატება არსებითად დამოკიდებულია გერმანელი გლეხობის მზადყოფნაზე, რომელმაც მთელი თავისი ძალები უნდა დაძაბოს გამოკვების უზრუნველსაყოფად, რათა ამ გარემოებამ შეგვიქმნას წინაპირობა ბრძოლის გამარჯვებით დამთავრებისათვის.

მანერჰაიმის დაჯილდოება

ადოლფ ჰიტლერმა ფინეთის არმიის მთავარსარდალი მარშალი მანერჰაიმი დააჯილდოვა მუხის ფოთლებიანი რკინისჯვრის რაინდობის ორდენით. ფინეთის არმიის გენერალური შტაბის უფროსი გენერალი აქსელ ჰაინრიხსი დაჯილდოვებულია რკინის ჯვრის რაინდობის ორდენით.

ადოლფ ჰიტლერის დავალებით მარშალ მანერჰაიმსა და გენერალ ჰაინრიხს, ფინეთის მთავარ სადგომში ჯილდოები გადასცა გენერალ-ფელდმარშალმა კაიტელმა.

ეს დაჯილდოებანი გამოწვეულია ფინეთის გმირული დაცვით ბოლშევიკთა ურდოებისაგან, რომელიც მიმდინარეობს 7 კვირის განმავლობაში.

ჩერჩილი იტალიაში

როიტერის სააგენტოს ცნობით, ბრიტანეთის მინისტრ-პრეზიდენტი ჩერჩილი ჩავიდა იტალიაში. იტალიის დაკავებულ ოლქებში მისი ჩასვლის მიზეზებისა და ხანგრძლივობის შესახებ თუმცა არაფერს ამბობენ, მაგრამ შეიძლება ვიფიქროთ, რომ მისი მგზავრობის მიზანია პოლიტიკური მდგომარეობის გაცნობა, რომელიც შეიქმნა იტალიაში ინგლის-ამერიკულ ხელისუფალთა მოქმედების შედეგად.

შვეიცარიული გაზეთის „სოუის" ცნობით, რომში იმყოფება აგრეთვე ბალკანეთის ბანდიტთა მეთაური ტიტო. რომში თითქოს ჩასულა ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო მინისტრიც. ტიტომ აწარმოვა მოლაპარაკება ჩერჩილთან.

განმათავისუფლებელი ომის ფრონტებზე

კვირეული მიმოხილვა

ნორმანდიაში კვლავ უმძაფრესი ბრძოლები გრძელდება. გერმანიის უმაღლესი სარდლობის 22 აგვისტოს ცნობებით, ქ. არჟანტანის ჩრდილოეთით, გერმანულმა ნაწილებმა გაათავისუფლეს ბრძოლით გაარღვიეს მტრის ალყა და შეუერთდნენ იქ მებრძოლ გერმანულ ჯარს.

ქ. ლიზიოსა და ევრესთან მტერმა, ძლიერი ქვეითი ჯარებითა და სატანკო ნაწილებით დაიწყო შემოტევა. სასტიკი ბრძოლების შემდეგ ლიზიოს დასავლეთით მტერმა შესძლო გერმანელთა განლაგებაში შემოჭრა, რის წინააღმდეგაც სწარმოებს კონტრშეტევა. ქ. დროეს არეში მტერმა უმძიმესი ბრძოლების შემდეგ მოახერხა ჩრდილოეთისკენ რამდენიმე კილომეტრით წინწაწევა.

ქ. მანტთან მდინარე სენის ჩრდილოეთ ნაპირზე გადმოსული მტრის წინსვლა შეჩერებულ იქნა გერმანელთა კონტრშეტევით. სენისავე არეში, პარიზის სამხრეთით მოსული მტრის მოწინავე რაზმები უკუგდებულ იქნენ გერმანული ნაწილების მიერ.

სამხრეთ საფრანგეთში, ნავსადგური ტულონის გარშემო, სწარმოებს გააფთრებული ბრძოლა. ქ. დიურანსის არეში მტრის შემოტევა გერმანელთა კონტრშეტევით უკუქცეულია.

ამავე 22 აგვისტოს ცნობით, საფრანგეთის არეში რამდენიმე შეტაკების დროს მოკლულ იქნა 229 ტერორისტი.

ლონდონზე დღისით და ღამით გრძელდება „V 1"-ის გამანადგურებელი ცეცხლი.

იტალიაში, ადრიატიკის ზღვის სანაპიროზე, 21 აგვისტოს მტერმა კვლავ დაიწყო ძლიერი შემოტევა და შესძლო რამდენიმე მაღლობის დაკავება.

აღმოსავლეთის ფრონტის სამხრეთ ნაწილში, ქ. ტირასპოლის სამხრეთ-დასავლეთით და აგრეთვე მდინარე პრუტსა და სერეთს შორის, გერმანული და რუმინული ნაწილები აწარმოებენ მძაფრ ბრძოლებს საბჭოთა ძლიერი შემოტევის წინააღმდეგ.

მდ. ვისლის, ქ. ვარშავისა და რაზვინენის არეში მოწინააღმდეგის შემოტევები უკუგდებულ იქნენ მისთვის დიდი ზარალის მიყენებით.

ქ. ბაუსკესთან და მოდონის დასავლეთით იერიშზე გადმოსული მტერი განადგურებულ იქნა.

პსკოვის ტბის დასავლეთით ბოლშევიკები განაგრძობენ სასტიკ შემოტევებს.

— : —

პერდელერის სელშემწყობთა დაპატიმრება

ყოფილი ობერბურგომისტრის დოქტორ კარლ პერდელერის ძებნის დროს გამოირკვა, რომ ერთ დროს ის იმალებოდა მემამულე ბარონ ფონ პალომბინისთან რანსდორფში (ტოროგაუს ოლქი, მერზებურგი). ცოლ-ქმარი პალომბინები, რომელთაც იცოდნენ, რომ პერდელერი იყო 20 ივლისის შეთქმულების მონაწილე, დაუყოვნებლივ იქნენ დაპატიმრებული.

პალომბინების უძრავი ქონება ჩამორთმეული იქნება სახელმწიფოს სასარგებლოდ, ხოლო თვითონ მათ სასტიკი სასჯელი მოელით.

*

დუჩეს საინსპექციო მგზავრობა

მუსოლინიმ ჩაატარა საინსპექციო მგზავრობა იტალიის ფრონტის რამდენიმე უბანში. მან შეამოწმა დაშისტურ-რესპუბლიკური არმიის სხვადასხვა ნაწილები.



„VI" ბაზროლის ფონ.

ბრძოლა სამშობლოსათვის

მოგონებანი აგვისტოს აჯანყებაზე

პოდპოლკოვნიკი ს. ზალდასტანიშვილი

ამ მოგონებების ავტორი უშუალო მონაწილე იყო აგვისტოს აჯანყებისა და მისი მოწყობის ერთ-ერთი აქტიური ორგანიზატორი. მოგონებანი დაწერილია მოვლენებისა და ამბების იშვიათი ცოდნით და კარგად აშუქებს აგვისტოს აჯანყების მოსამზადებელ პერიოდს, მის მსვლელობასა და დამარცხებას. პოდპოლკოვნიკი ს. ზალდასტანიშვილი, ომამდე ემიგრაციაში სცხოვრობდა, ომის დაწყების შემდეგ მოხალისედ შევიდა გერმანიის არმიაში, იყო ყირიმში, სადაც ერთ-ერთი ბრძოლის დროს გმირულად დაეცა სამშობლოსათვის.

მოგონებები გამოქვეყნდება თანდათანობით. ხელნაწერს ვბეჭდავთ მცირეოდენი კუპიურებით.

რედაქცია

I

1924 წლის 28 აგვისტოს მოხდა აჯანყება საქართველოს დამოუკიდებლობის აღსადგენად. ეს დიდმნიშვნელოვანი ამბავი ახალი წარსულის ისტორიას ეკუთვნის და მისი გახსენება, მოთხრობა და შეფასება საჭიროა არამარტო პოლიტიკოსებისათვის, არამედ საყურადღებოა ისტორიკოსებისათვისაც. მე, როგორც პირადი მოწმე და ერთი აქტიური მონაწილეთაგანი ამ აჯანყების მოწყობაში, ვეცდები გავიხსენო, როგორ ხდებოდა აჯანყების მომზადება, როგორ დაიწყო იგი და რამ მიიყვანა იგი დამარცხებამდე. მაგრამ სიცოცხლის გამო [illegible] ვერ ჩემს მოგონებაში ზოგიერთი პირები ჯერჯერობით არ დავასახელო და ამის გამო მომხდარი ამბებიც ალაგ-ალაგ შევამოკლო. ცხადია, ამის გამო ჩემი მოგონებები არ იქნება მთლიანი, მაგრამ ეს ხელს არ შეუშლის მკითხველს აჯანყების მთავარ მამოძრავებელ ძალაზე და მის ვითარებაზე სწორი წარმოდგენა იქონიოს.

[illegible] აქვს თავისი პირადი შეხედულება [illegible] აჯანყების როგორმაზე შემიძლია [illegible] მაგრამ 1924 წლის აჯანყების მთავარ ფაქტებს და მოვლენებს მაინც ვერ გავამტყუნებ, ე. ი. [illegible]

[illegible] გამოირკვევა, რომ 1924 წლის აჯანყების დროს მომხდარი შეცდომები მომავალში აცდენილი იქნას.

II

1783 წლის 24 ივლისს, ქალაქ გეორგიევსკში საქართველოსა და რუსეთს შორის დაიდო ხელშეკრულება, რითაც რუსეთი ვალდებული იყო საქართველო დაეცვა გარეშე მტრისაგან.

1795 წელს კრწანისის ბრძოლაში მან ეს ხელშეკრულება დაარღვია და ამით მისცა საშუალება აღა-მაჰმად-ხანს ქართლ-კახეთი აეკლო. რუსებმა შექმნილი მდგომარეობით უსინდისოდ ისარგებლეს, დაარღვიეს საქართველოს დამოუკიდებლობა და ქართლ-კახეთის მთავრობა მართველობა ხელში ჩაიგდეს.

[illegible] 1801 წლის 12 სექტემბერს საქართველო რუსეთის იმპერიის კუთვნილ ნაწილად გამოაცხადა. ამ ვერაგობას ქართველი ხალხი ვერ შეურიგდა და აჯანყებით უპასუხა.

[illegible]

1802 წელს მთიულეთ ერთი წლის — [illegible]

1812 წელს კახეთის ქართლიც გამოვიდა და რუსებს ძლიერ გაუჭირდათ ამ აჯანყების ჩაქრობა.

1819-20 წ. წ. მთელი იმერეთი აჯანყდა რუსების თავად-აზნაურობა, სამღვდელოება და გლეხობა. მაგრამ ეს გამოსვლები კვლავ ჩაქრა გამოდგა. [illegible]

[illegible]

როგორც ვუთხარით, რუსებმა [illegible]

[illegible]

1832 წელს აჯანყების [illegible]

საქართველოს — [illegible]

[illegible]

აჯანყებისათვის დრო არ იყო. მისი ხელისუფალთა [illegible]

ამ აჯანყებიდან შემდეგი დასკვნები შეგვიძლია გამოვიტანოთ: [illegible]

1832 წლის შეთქმულების შემდეგ რუსეთმა წელში გატეხა ქართველი ერი, [illegible]

სამშობლოსათვის მებრძოლი ნიმეჩიშე.

„ფოლკიშერ ბეობახტერი" მოხალისეთა შესახებ

დიდი გერმანიის ნაციონალ-სოციალისტური მოძრაობის მებრძოლმა ორგანომ „ფოლკიშერ ბეობახტერმა" და სხვა გაზეთებმა, გამოაქვეყნეს წერილი, რომლის საშუალებით გერმანელი მკითხველი პირველად საფუძვლიანად ეცნობა ყოფილი საბჭოთა მოქალაქეებისაგან შექმნილ მოხალისეთა შენაერთების არსსა და საბრძოლო მოქმედებას. წერილში ნათქვამია:

„უკანასკნელი თვეების განმავლობაში მოხალისეთა შენაერთები, რომლებიც შექმნილია აღმოსავლეთის ხალხების წარმომადგენლებისაგან, არაერთხელ და ორჯერ მოხსენებული იყვნენ გერმანიის უმაღლესი მთავარსარდლობის ცნობაში. მათ კარგად იციან, რას წარმოადგენს ბოლშევიზმი. მოხალისეების დიდმა ნაწილმა, პირადად თუ ნათესავების მხრით, განიცადა დევნა და შევიწროვება ბოლშევიკური ხელისუფლებისაგან სამშობლოს განთავისუფლებისათვის ბრძოლაში. ისინი საკუთარი ნებასურვილით დაადგნენ იარაღით ბრძოლის გზას და დღეს ირიცხებიან თავიანთი ხალხის წარმომადგენლებისაგან შექმნილ ნაწილებში. ეხლა ჩვენ გვყავს რუსული, უკრაინული, ყაზახების, კავკასიელთა და თურქესტანელ მოხალისეთა შენაერთები, რომელთა მებრძოლები უკვე დიდიხანია ატარებენ გერმანულ ფორმას ნაციონალური ნიშნით".

გერმანული ოფიციოზი ხაზს უსვამს იმ პირობების სიძნელესა და სირთულეს, რომლებშიაც უხდებათ ბრძოლა მოხალისეებს. გაზეთი სწერს:

„აღმოსავლეთიდან მოსული მოხალისე იმყოფება სამშობლოდან შორს. მან არ იცის, რა მოუვიდათ მშობლებს, გახდნენ ისინი ბოლშევიკების ტერორის მსხვერპლნი, თუ შესძლეს თავის გადარჩენა. მიუხედავად ამ უდიდესი სულიერი ტანჯვისა, მოხალისის უცვლელ მიზნად რჩება ბოლშევიზმზე გამარჯვება. თვითეულმა მოხალისემ იცის, რა დიდი განსხვავებაა, ჯარისკაცისადმი გერმანულ მზრუნველობასა და ბოლშევიკურ „მზრუნველობას" შორის".

ეხება რა მოხალისეთა ოჯახების საკითხს, გერმანული ოფიციოზი სწერს:

„თუ მოხალისეების მშობლები ან ნათესავები გერმანიაში იმყოფებიან, ბუნებრივია, ისინი სცდილობენ ილაპარაკონ და შეინარჩუნონ მათთან კავშირი. გერმანული ორგანიზაციების ხელმძღვანელებმა ქალაქად და სოფლად დიდი ყურადღება გამოიჩინეს ამ საკითხისადმი და თავიანთი სურვილით გააკეთეს ყველაფერი, რათა უზრუნველეყოთ მოხალისის თუნდაც სულ მცირე ხნით ყოფნა ცოლთან და შვილებთან, მშობლებთან, დებთან და თანამემამულეებთანაც კი".

აღმოსავლეთის მოხალისეები არ წარმოადგენენ დაქირავებულ მებრძოლებს. გერმანელებთან კავშირში ისინი იბრძვიან თავიანთი საქმისათვის; გერმანიის არმიის რიგებში მათი ყოფნა, ეს არის ნაციონალური ინტერესების ერთიანობა, რასაც ხაზს უსვამს „ფოლკიშერ ბეობახტერი".

„მოხალისეთა ნაწილების ხელმძღვანელობისა და გამოყენების გერმანული მეთოდები არსებითად განსხვავდებიან ინგლისური პრაქტიკისაგან. ინგლისელი სხვა ხალხის წარმომადგენელში ხედავს მხოლოდ დაქირავებულს, რომელიც ატარებს იარაღს და ღვრის სისხლს მხოლოდ ინგლისელისათვის. პირიქით, გერმანიის არმიას ყოველთვის თავის მხრებზე გადააქვს ბრძოლების ძირითადი სიმძიმე და მოხალისეთა ნაწილებს აყენებს იმ ამოცანათა გადასაჭრელად, რომლებიც მიმდინარე მომენტში მათ შეუძლიათ გადასწყვიტონ თავიანთი მომზადებისა და სამხედრო სიძლიერის მიხედვით".

ვარშავის აჯანყება

1 აგვისტოს ქ. ვარშავის მთელ რიგ რაიონებში თავი იჩინა პოლონელი ბანდიტების აჯანყებამ. ქალაქის ქუჩებში გაჩნდა ბარიკადები, რომლებიც ააშენეს ნაწილობრივ ბანდიტებმა, ხოლო ნაწილობრივ მათ მიერ იძულებულმა მოსახლეობამ.

სხვადასხვა სახლებში მოკალათებულმა ბანდიტებმა, აწარმოებდნენ რა, ქუჩებში სროლას, დაარღვიეს ქალაქში ნორმალური მოძრაობა.

დაუყოვნებლივ მიღებული გადამწყვეტი ზომების წყალობით, გერმანიის ჯარებმა მალე დაიკავეს მნიშვნელოვანი საზოგადოებრივი და საწარმოო შენობები. ქუჩებში ბრძოლის დროს მათ აჯანყებულებს დიდი ზარალი მიაყენეს. ზოგიერთ ადგილას აჯანყებულების წინააღმდეგობა განსაკუთრებულ ხასიათს ატარებდა, რადგან კარგად ესმოდათ, რომ ხალხის წინააღმდეგ მიმართული მოქმედებით მათ თავიანთი თავი კანონგარეშე გამოაცხადეს. მალე სისხლისაგან დაცლილი ბანდიტების წინააღმდეგობის ძალა დაძლეულ იქნა. ცოცხლად დარჩენილი და ტყვედ აყვანილი აჯანყებულების დაკითხვის დროს გამოირკვა, რომ აჯანყება მოწყობილი იყო ვარშავის გარედან მიღებული ბრძანების თანახმად. კიდევ მეტი, უფროსები აჯანყებულებს დაჰპირდნენ, რომ აჯანყების დაწყების შემდეგ, საბჭოთა არმია დაუყოვნებლივ გადავა შეტევაზე გერმანელების წინააღმდეგ და შეამსუბუქებს აჯანყებულების მდგომარეობას ქალაქში. მაგრამ, ვარშავის აღმოსავლეთით მებრძოლი გერმანული ნაწილების წარმატებამ და განსაკუთრებით მესამე საბჭოთა სატანკო კორპუსის სრულმა განადგურებამ ყირამალა დააყენა ბანდიტების გეგმები, რომლებიც დარჩნენ რა ბედის ამარა, დაუყოვნებლივ იქნენ განადგურებული გერმანული ნაწილების მიერ. ამრიგად, არ იქნა გამართლებული მდ. ვისლის აღმოსავლეთით წარმატებით მებრძოლი გერმანული ქვეითი და სატანკო ნაწილების შებოჭვა. მოსკოვის ბრძანების მიუხედავად, აჯანყება არ გავრცელებულა ქ. ვარშავის საზღვრებს გარეთ.

გერმანული ჯარების მიერ გადარჩენილი პოლონური მოსახლეობა გვაცნობებს ენით გამოუთქმელ საშინელებას, რომელიც მან გადაიტანა აჯანყების მოკლე დროის განმავლობაში. ბოლშევიკური ჯოჯოხეთიდან თავდაღწეულთა აღიარებით ცხადი ხდება, რომ აჯანყება ეყრდნობოდა დაქირავებულ ბოროტმოქმედთა ჯგუფს.

ვარშავის მოსახლეობის დიდი უმრავლესობა აჯანყებაში არავითარ მონაწილეობას არ ღებულობდა, მაგრამ მოქალაქეების მცირე ნაწილი ბანდიტებმა აიძულეს გერმანიის შეიარაღებული ძალების წინააღმდეგ აქტიური მოქმედებისათვის.

ზოგიერთ ადგილებში ბანდიტებმა შესძლეს თავიანთ მხარეზე გადაებირებინათ დემაგოგიური ლოზუნგებით დაბრმავებული ახალგაზრდობა 15-21 წლამდე, რომლებიც ფიქრობდნენ აჯანყების გზით პოლიტიკური იდეალების მიღწევას.

აჯანყების სრული განადგურების შემდეგ საბჭოთა მქლაბნელები, სწორედ ისინი, რომლებიც დაბეჯითებით მოითხოვდნენ აჯანყების ცხოვრებაში გატარებას, დამნაშავეებს ათეული ათასების უაზროდ მსხვერპლად გაღების საქმეში, ბანდიტებსა და მკვლელებს უწოდებდნენ. ვარშავის ტრაგედია ერთხელ კიდევ გვიმტკიცებს მოსკოვისა და ლონდონის ინტერესების წინააღმდეგობას, რადგან საბჭოთა პრესის აშკარა გამოსვლა შეთქმულთა წინააღმდეგ, წარმოადგენს ლონდონის იმ წრეების ლანძღვას, რომლებმაც მისცეს რჩევა აჯანყების დაუყოვნებლივ დაწყების შესახებ.

*

ამერიკელები გერმანელი ჯარისკაცების სიმტკიცის შესახებ

ამერიკული ჟურნალის „ნიუს უიკის" ცნობით, ინგლისში, კანადაში და ამერიკის შეერთებულ შტატებში მყოფი გერმანელი სამხედრო ტყვეების მტკიცე და ურყევი ყოფაქცევა ამერიკის ხელისუფლებას განსაცდელში აყენებს. „ამ ხალხს, — სწერს ჟურნალი, — ნაციონალ-სოციალისტური სულისკვეთება ძვალ-რბილში აქვს გამჯდარი. ომის შემდეგ, გერმანიაში დაბრუნებისას ისინი გადაიქცევიან მტკიცე ბირთვად, რომლის ირგვლივაც შეიქმნება ძლიერი სახელმწიფო".

გაზეთი შემდეგ აყენებს კითხვას, — საჭირო ხომ არ იქნება რაიმე „რეალური ზომების" მიღება გერმანელ სამხედრო ტყვეებს შორის ამ ძლიერი ნაციონალური სულისკვეთების შესასუსტებლად? თუმცა იქვე დასძენს, რომ „საეჭვოა რაიმეს მიღწევა ამ ჯიუტ გერმანელებთან".

ობერლეიტენანტი გივი გაბლიანი ნორმანდიის ფრონტზე

ქართული საკავშირო შტაბის სამხედრო ხელმძღვანელი ობერლეიტენანტი გივი გაბლიანი ერთი თვის წინათ გაემგზავრა საფრანგეთში მყოფი ქართული სამხედრო ნაწილების სანახავად. მას ნორმანდიაში მოუხდა იმ მომენტში ყოფნა, როდესაც მტერმა დაიწყო თავისი დიდი შემოტევები და ის ათასეული, რომელთანაც იმყოფებოდა იგი, ბრძოლაში ჩაება. მიუხედავად უმძიმესი პირობებისა, ქართულმა ათასეულმა თავისი საბრძოლო ამოცანა პირნათლად შეასრულა. ქართველმა მხედრებმა ერთხელ კიდევ დაამტკიცეს ვაჟკაცობა და სიმამაცე.

დიდი დაბრკოლებების გადალახვის შემდეგ ობერლეიტენანტი გ. გაბლიანი პარიზში დაბრუნდა, სადაც შეხვედრა ჰქონდა გენერალ ფონ ნიდერმაიერთან და მისი შტაბის ოფიცრებთან.

მოხ. დ. ქ.

მარცხნივ: ნიშანი სამეთაურო ნავიდან; მარჯვნივ: საზღვაო ფლოტის ახალი იარაღი კაცი-ტორპედო, რომელიც დიდი წარმატებით სარგებლობს.

მოტორიზებული მზვერავი ნაწილის ჯარისკაცები ნორმანდიის ფრონტზე.

ახალი განკარგულებანი ტოტალური მობილიზაციის შესახებ

ტოტალური მობილიზაციის საიმპერიო რწმუნებულის განკარგულებით გათვალისწინებულია კულტურული ცხოვრების დარგში სხვადასხვაგვარი შეზღუდვა. ამჟამად უკვე ძალაში შევიდა სათეატრო საქმის ინტენდანტის ღონისძიებები. სახელდობრ: აკრძალულია სარეკლამო და ეკონომიური ფილმების დამზადება. აგრეთვე მათი ჩვენება გერმანულ კინო-თეატრებში. შეწყვეტილია ისეთი სამეცნიერო და კულტურული ფილმების გადაღება, რომლებიც სამხედრო თვალსაზრისით მნიშვნელოვან ფილმებად არ ჩაითვლებიან.

ამრიგად განთავისუფლებული სამუშაო ძალა ახლო მომავალში გაგზავნილი იქნება ჯარში და სამხედრო მრეწველობაში გამოსაყენებლად.

საწარმოთა და კინო-თეატრების მეპატრონეები მომავალში თვითონ უნდა გაუძღვნენ თავიანთ საქმეს და ნაწილობრივ ვალდებული არიან შეასრულონ თავის მოსამსახურეთა ფუნქციები. განსაკუთრებული ინსტრუქციები განსაზღვრავენ პერსონალის რაოდენობას, რომელსაც შეუძლია კინოთეატრებში დარჩენა. კონტროლიორებად და განმკარგულებლებად უნდა იყვნენ მხოლოდ ქალები 50 წლის ასაკს ზევით და არა მამაკაცები.

აკრძალულია კინორეკლამები, აგრეთვე კინომსახიობთა ფოტოსურათების დამზადება. პატარა კინოთეატრებში დაწესებული იქნება მტკიცე ფასები, დიდებში კი ბილეთების ფასი შემცირდება.

ყველა ეს ღონისძიება დაუყოვნებლივ შედის ძალაში. კინოთეატრების მეპატრონეებმა უნდა იზრუნონ, რათა პერსონალის შემცირების შედეგად ადგილი არ ჰქონდეს სეანსების შემცირებას, შემდეგისათვის გათვალისწინებულია კიდევ სხვა სახის ღონისძიებათა გატარება.

*

იუსტიციის საიმპერიო მინისტრმა დოქტორმა ტირაკმაც თავის უწყებაში მნიშვნელოვანი ცვლილებები შემოიღო, რომლის შედეგად უამრავი მუშახელი თავისუფლდება. აღნიშნული ცვლილებები ნაკლებ გავლენას ახდენენ საზოგადოებრივ ცხოვრებაზე, ვიდრე საფოსტო უწყებაში გატარებული ღონისძიებანი, თუმცა მოსახლეობა ამ დარგშიც მოწოდებულია თავი შეიკავოს სასამართლო დაწესებულებათა დახმარებით ზედმეტი სარგებლობისაგან განსაკუთრებით სამოქალაქო სამართლის დარგში.

შინსახკომი ნორმანდიაში

ინგლისელი სამხედრო ტყვეების ჩვენებით, ნორმანდიაში, ინგლისის ჯარში შექმნილია შინსახკომის განსაკუთრებული კომისიები. ეს ამბავი გაკეთებულია ჯულმეილის მოთხოვნით. კომისიის განკარგულებაში გადაიცემიან ის ქართველი, რუსი, და სხვა მოხალისეები, რომლებიც ტყვედ უვარდებიან ინგლისელებს.

ტყვედ ჩავარდნილ მოხალისეებს ოთხ კატეგორიად ჰყოფენ. მათ, ვინც გერმანული „სს-ის" ნაწილებში ირიცხებოდა, აძლევენ ლურჯი ფერის სამოსს; რუსეთის განმათავისუფლებელი არმიის ჯარისკაცებს — წითელს; ოფიცრებს — თეთრს, ხოლო მოხალისე ქართველებსა და სხვა კავკასიელებს — მწვანე ფერის სამოსს.

ასეთი დაყოფის შემდეგ მოხალისეებს ჰგზავნიან განსაკუთრებულ ბანაკში, რომელიც ქალაქ დუვრის მახლობლად იმყოფება.

ტყვეების ხვედრი დახვრეტაა. ზოგს იქვე, დუვრის ბანაკში ხვრეტენ, ზოგს კი ჰგზავნიან საბჭოთა კავშირში შინსახკომის ჯურღმულებში ანგარიშის გასწორების მიზნით.

საქართველო-გერმანიის ურთიერთობა 1918 წელს

ვ. ტოგონიძე

გაზეთი „საქართველოს" ფურცლებზე პირველად გამოქვეყნებული საკითხი იმ დახმარების შესახებ, რომელიც გერმანიამ გაუწია საქართველოს თავისუფლებისა და სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის დამკვიდრებაში. ამის შესახებ საკმაო ფაქტიური მასალა გამოქვეყნდა. ამჯერად ჩვენი განზრახვაა ამ ახლო წარსულის მოვლენებს სხვა მხრივ შევეხოთ.

პირველი მსოფლიო ომის დაწყებამ, რომელშიც რუსეთის იმპერიაც იყო ჩაბმული, ქართველ ერში ახალი ეროვნული პერსპექტივები გააღვიძა. საქართველოს პოლიტიკური წრეები იმედით შეჰყურებდნენ გერმანიას, ვინაიდან მათთვის ცხადი იყო, რომ რუსეთის დამარცხება ბუნებრივად გამოიწვევდა იმპერიის დანგრევას და მასში შემავალ ერებს თავისუფლების მოპოვებაში დაეხმარებოდა. ამგვარად, ქართველი ერის პოლიტიკური ორიენტაცია გარკვეულად დამყარებოდა გერმანიის გამარჯვებას და მისი მეოხებით მოელოდა ასწლოვანი ბორკილებისაგან თავის დახსნას.

ამ მიზნით ომის დაწყებისთანავე ბერლინში დაარსდა „საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტი", რომლის პოლიტიკური მეთაურობა წილად ხვდა ცნობილ პოლიტიკურ მოღვაწეს მიხ. წერეთელს.

კომიტეტი დაუკავშირდა გერმანულ სათანადო უწყებებს, რომელთაც აღუთქვეს მას დახმარება საქართველოს განთავისუფლებისათვის ბრძოლაში. ამ მიზნით საქართველოში გაიგზავნა: 1916 წელს — წყალქვეშა ნავი „UB-38", 1917 წელს — წყალქვეშა ნავი „UB-14", იმავე წლის ოქტომბერში — „UB-42" და ნოემბერში — „UB-48". ამ წყალქვეშა ნავებიდან, საქართველოში, შავი ზღვის ნაპირებზე, გადმოტვირთეს მრავალი იარაღი და ტყვია-წამალი. იმავე ნავებით საქართველოში ჩამოდიოდა კომიტეტის რწმუნებული მიხ. წერეთელი, აქ მომქმედ პოლიტიკურ წრეებთან კავშირის დასამყარებლად და კომიტეტის მუშაობის გასაცნობად.

როდესაც 1917 წლის ოქტომბერში რუსეთში გაჩნდა სამოქალაქო ომი, ამიერკავკასიის სეიმმა გამოაცხადა ამიერკავკასიის დამოუკიდებლობა და შეუდგა პრაქტიკულ მუშაობას თურქეთისაგან თავდასაცავად. მაგრამ მალე გამოირკვა, რომ ამიერკავკასიის ფედერაციულ რესპუბლიკას, მასში შემავალ ერთა ინტერესების სხვადასხვაობის გამო, არ ჰქონდა უნარი შეექმნა ძალა გამკლავებოდა თურქეთის ჯარს.

ამ მიზეზების გამო ამიერკავკასიის ფედერაციული რესპუბლიკა დაიშალა, ხოლო 1918 წლის 26 მაისს, როგორც ცნობილია, საქართველოს ეროვნული საბჭოს მიერ გამოცხადდა საქართველოს სახელმწიფო დამოუკიდებლობა.

„საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტის" მიერ გაწეული წინასწარი მუშაობის შედეგით, შესაძლებელი გახდა თავიდან აგვეცილებინა თურქეთის ჯარების შემოსევა. კომიტეტის მუშაობისვე უნდა მიეწეროს ის გარემოებაც, რომ გერმანიის მთავრობამ ლოიალურად დაუჭირა მხარი ქართველი ერის ბრძოლას თავისუფლებისათვის. საქართველოს მთავრობასთან შეთანხმებით, ნორჩი რესპუბლიკის გარეშე მტრებისაგან დასაცავად, გერმანიამ საქართველოში გამოგზავნა თავისი არმიის ნაწილები გენერალ კრეს ფონ კრესენშტეინის მეთაურობით. გერმანელების სურვილი იყო დახმარებოდნენ ქართველ ერს თავისი საზღვრების დაცვაში და ახალი სახელმწიფოს აშენებაში. ქართველმა ერმა ისინი მიიღო, როგორც ნამდვილი, ყოველგვარ ანგარებას მოკლებული მეგობრები და უცხო ჯარსა და მოსახლეობას შორის დამყარდა სრული ურთიერთგაგება. საქართველოში გერმანელების ყოფნის მოკლე ხნის განმავლობაში არავითარი უკმაყოფილების ადგილი არ ჰქონია. აი რას სწერს ამის შესახებ იმდროინდელი გერმანული სამხედრო მისიის წევრი პროფესორი ცუგმაიერი: „ჯანსაღმა შეგნებამ ქართველი ერისა, სოფლად და ქალაქად, სწრაფად დაინახა გერმანელებში მეგობრები და დამხმარენი. ის სამაგალითო ურთიერთგაგება, რომელიც მოსახლეობასა და გერმანულ ჯარს შორის განუწყვეტლივ მეფობდა და რომელმაც გულითად მეგობრობას მიაღწია, წარმოადგენს სასიხარულო და თვალსაჩინო ხაზს მაშინდელი, ერთობ ჭრელ სურათში".

ეს იყო ნიადაგი, რომელზედაც აღმოცენდა საქართველოსა და გერმანიის გულწრფელი თანამშრომლობა და რომელიც ორივე მხარეს კარგ მომავალს უქადდა. საქართველოსა და გერმანიას შორის დაიდო მთელი რიგი ხელშეკრულებები, შემუშავდა გეგმები, რომელთა განხორციელებაც ქართველ ერს ბრწყინვალე მომავალს უხსნიდა და მის ეროვნულ თავისუფლებას მძლავრ საფუძველს უქმნიდა. მაგრამ, სამწუხაროდ, დასახულმა გეგმებმა ფრთები ვერ შეისხა, რადგან 1918 წლის ნოემბერში, გერმანიაში რევოლუციამ იფეთქა და დამარცხებულ გერმანიას იარაღი დააყრევინა.

ამის შემდეგ გერმანია-საქართველოს თანამშრომლობა უეცრად შეწყდა და საქართველოში ძალით შემოიჭრნენ ინგლისის ჯარები. გერმანელები იძულებული გახდნენ ჩვენი ქვეყანა დაეტოვებინათ.

თუ რაოდენ ღრმა იყო საქართველო-გერმანიის მეგობრობა, ამის თვალსაჩინო ილუსტრაციას წარმოადგენს ის გამომშვიდობება, რომელიც ქართველმა ერმა მოუწყო გერმანულ ჯარებს საქართველოს ტერიტორიის დატოვების დროს. ამის შესახებ მოგვითხრობს იმავე პროფესორი ცუგმაიერი. იგი სწერს: „ამ უკანასკნელ შეხვედრის დღეებში კიდევ ერთხელ გამომჟღავნდა მტკიცე მეგობრობა რაინდი ქართველი ხალხისა გერმანელების მიმართ. ისინი ჩვენგან აღარაფერს მოელოდნენ: როგორც მილიტარულად, ისე დიპლომატიურად, როგორც ფინანსიურად ისე კომერციულად." ამჟამად გერმანელებს ქართველი მეგობრებისათვის რაიმეს გაკეთება უკვე აღარ შეეძლოთ.

ინგლისი თავისი ჯარებით მოკალათებული იყო საქართველოს დედაქალაქში. ინგლისელების მოწყალებაზე იყვნენ დამოკიდებული ქართველები. ამ უკანასკნელთა ხაზგასმულ მეგობრობას გერმანელებისადმი, არ შეეძლო მათთვის რაიმე სარგებლობის მოტანა, პირიქით ეს საზიანოდაც კი გადაიქცა! მაგრამ, მიუხედავად ამისა, ქართველებმა ჩვენ გვიერთგულეს! საქართველოს სამხედრო მინისტრმა, გერმანიის მისიის იძულებით გამგზავრების წინა საღამოს, გამართა შესანიშნავი ბანკეტი, რომელზედაც გულითადად წარმოთქმულ სიტყვებში, აღინიშნა გერმანულ-ქართული მეგობრობა. სადგურზე მოვიდნენ მთავრობისა და პარტიების წარმომადგენლები და გერმანელთა მრავალი პირადი მეგობარი. შეძახილებით — გერმანიას გაუმარჯოს, დატოვა დელეგაციამ ქალაქი თბილისი.

ქუთაისი... ამ ქალაქის მცხოვრებნი, რომელნიც რამოდენიმე თვის განმავლობაში ინახავდნენ ერთ გერმანულ გარნიზონს, აგრეთვე მოისწრაფოდნენ დემონსტრაციით გერმანელების მიმართ თავიანთი სიმპათია და მეგობრობა. გერმანელების გამგზავრების დღეს, მიუხედავად იმისა, რომ სადგურში უკვე ინგლისელთა ჯარის ნაწილები იდგნენ დაბანაკებულნი, ქუთაისი სადღესასწაულოდ იყო გამწყობილი... კიდევ ერთხელ აღინიშნა საერთო მუშაობა, საერთო გამარჯვება და ერთგული მეგობრობა. უკანასკნელ წუთებში მატარებლის გასვლამდე, ქართველმა სამხედრო ორკესტრმა შეასრულა გერმანული ჰიმნი.

ასეთი რაინდობა შეუძლებელია დაივიწყოს გერმანელმა ერმა და არც იქნება დავიწყებული. იგი იმედის გამღვიძებელი საწინდარია იმისათვის, რომ ასეთ მძიმე დროშიც შეიძლება ერებს შორის ნამდვილი მეგობრობა სუფევდეს. ყოველი გერმანელი, რომელსაც გული სადმე აქვს, ერთგულებას გაუწევს მამაც ქართველ ხალხს, რომელმაც ჩვენ მეგობრობა გაგვიწია გაჭირვებაში".

ამ შეგნებითა და შთაბეჭდილებით წავიდნენ გერმანელები საქართველოდან 1918 წელს. მათ თავიანთი დასტოვეს ქართველ ხალხში ღრმა და წარუშლელი შთაბეჭდილება ნამდვილი მეგობრული გრძნობისა. ქართველმა ერმა კი თავის მხრივ დაამტკიცა, რომ მას შეუძლია დაფასოს მეგობრობა და რომ ერთგულება, გაჭირვებაშიც კი, ქართველი ერის დამახასიათებელი თვისებაა.

1918 წელს ნაანდერძევი მეგობრული კავშირი ამჟამად უფრო გაძლიერდა და გაღრმავდა. ქართველ მებრძოლთა ათასეულები გერმანელ ჯარისკაცებთან ერთად იბრძვიან ევროპის ყველა ფრონტზე და მათთან ერთად სჭედენ ევროპის მომავალს. გერმანელი ერის წარსული მეგობრობა ქართველი ხალხისადმი, მომავლისათვის გადაიქცევა უფრო მჭიდრო მეგობრულ სიმტკიცედ და დახმარებად ქართველ ერის ეროვნული თავისუფლებისა და აღორძინების მოპოვებაში.

ქართველი ერის დღევანდელი ბრძოლა არის ბრძოლა 1918 წელს მოპოვებული თავისუფლებისათვის და აგრეთვე იმ ერთგულებისა და მეგობრობის განსამტკიცებლად, რომელიც მაშინ გერმანელ და ქართველ ხალხს შორის დამყარდა.

ბრძოლა ბანდიტების წინააღმდეგ ალბანეთში.

[illegible]

1. საქართველო, როგორც იდეა-სახე

გრიგოლ რობაქიძე

ერი არის არა უბრალო კრება ადამიანთა, არამედ ცოცხალი არსი. ისტორიულად — ჯერ იყო ის, შემდეგ ეს — „დაბადება" ამ არსისა ძნელია: იგი „ყოველთვისაა". მარად მყოფადში მოქცეული ქართველი ადამიანი იცვლება ხაზმრუდების ხიბლით, ხოლო მისი შინაგანი სახე უცვლელი რჩება. ერი შინაგანი სახეა მის შემადგენელ ცალკეულთა. ქართველები სხვანი იყვნენ წარსულში, სხვანი ვართ ეხლა, სხვანი იქნებიან მომავალში, ხოლო საქართველო იგივე იყო და იგივე დარჩება: იგი მარადია, როგორც სახე-იდეა. მარადი არსის წარმოდგენა მხოლოდ მითიური ხილვით შეიძლება, რომელშიაც მოვლენა „ერთიანად" არის მოცემული. რიონი, როგორც მდინარე, არსად და არც ერთს წუთს ერთი და იგივე არ არის, მაგრამ რომელ ჩვენგანის წარმოდგენაში არ ცოცხლობს იგი, როგორც სრულიად განსაზღვრული და განუმეორებელი? ეს მაგალითი გვამცნევს იდეას მითიური ხილვის ბუნებას. ყოველი ერი თავისებურ აღიქვამს სამყაროს და აცნობიერებს მას, რადგან იგი ცხადდება თვითონ სამყაროში. აქ არის სათავე ერის მითოლოგიისა. ეს მითოლოგია მეტნაკლებად ხილულია. ამ მხრით მრავალი კულტურაა განხილული (ზოგი გაკვრით, ზოგი კი დაწვრილებით): ჩინელთა, ბაბილონელთა, სუმერთა, ქალდეველთა, ასირელთა, ხანაანელთა, არაბელთა, ეგვიპტელთა, ბერძენთა, რომაელთა, კელტთა, გერმანელთა და შვედთა; ხოლო კულტურა ქართველთა დღემდე არ არის რკვეული, ვიმეორებ: მისი მითოლოგია-მითოსისა. ქართველოლოგიაში ამ მხრით „მოპოვებულია" მხოლოდ მასალა: დამუშავება მისი და „გამომზეურება" მერმისის საქმეა. მე მარგუნა ბედმა ენდომილი შინაგან შემოქმედების გზა საქართველოს მითოლოგიურ-მითოსისა. ამ ზარათებში ვეცდები აღვნიშნო მთავარი მეხილები უკანასკნელისა.

1. ქართული გენია ძლიერია მითიურ ხილვაში. შინაგანი სახისათვის რომელიმე მოვლენისა ჩვენ გვაქვს შესანიშნავი სიტყვა: „ხატი". ბარში ეს ხატი ნიშნავს სურათს წმინდანისა, მთაში კი მას ჯერ კიდევ არ დაუკარგავს თავისი პირვანდელი მნიშვნელობა: იქ ხატი „სალოცავს" ჰქვია, სადაც ბარის გაგებით ერთი ხატიც არ მოიპოვება. ხოლო სალოცავით „შენობა" კი არ იგულისხმება, არამედ წმინდანი, ანუ უკეთ: მისი შინაგანი სახე. ვაჟა ფშაველას ერთ ზღაპრში — „ფშაველი ჯარისკაცის წერილი" — მეომრებს ვულოცავთ იყოლიე: „კაცურ რამ ლოცვაში ყოფნისა"; ფშაველი ამბობს: „ეს ჩვენი ხატი მფარველი ლაშარის ჯვარად გვცხია". მაშ: „ხატი და ჯვარი" ერთი და იგივეა. „ხატი", რომ „შენობა" იყოს აქ, როგორ მოეცელინებოდა იგი მთიელს ომში, როგორც „კაცურ რამ ლოცვაში ყოფნისა"? არა: „ხატი" შინაგანი სახეა წმინდანისა, ამ შემთხვევაში: ლაშარის.

2. „მარადი მყოფადი" ძლიერია ქართულ შეცნობაში. ამას მოწმობს ქართული ზმნის ერთი გენიალური ხტილი. გაიხსენეთ წერილი ნეტარისა ტარიელის მიმართ ქაჯეთის ციხიდან: „მზე გხედო", ამბობს შეუვარებული. სხვაგვარ საზოგადოებით ეს ხტილი რუსულად ვინა გერმანულად ვინა ფრანგულად — ვერ მოიძებნა შესატყვისს. „გხედო" — აქ მარადი მყოფადია-გზნებული.

3. ქართველთა შეგნებაში „ხატი", როგორც შინაგანი სახე ტომისა თუ ხალხის, ისე მძლავრად და მბადრად იყო ხილული, რომ იგი პიროვნებადაც იქცა. სახელი მისი: „კარდუ"; უფრო სწორი იქნებოდა მეთქვა: „ქართუ", მაგრამ ბერძნები ხმარობენ ამ სახელისა: „კარდუ" უფრო ხერხემალმაგარია, როგორც ის „ქადაც", ვინც ამ სახელით არის რჩეული. ოდესღაც ისეთი განსაკუთრებით გრძნობდნენ ქართველნი მის პიროვნებას, რომ მცხეთის ახლო მას სალოცავიც კი აუშენებდნენ. კარდუ მითიური მფარველია ქართველი ერისა. მაშ რით აიხსნება მისი „ხატობა"? მითიურ ხანაში ეს მოვლენა დაკანონებას ერის ქმედით ძალით, ისტორიულში კი ვხედავთ მას, რომ მითიური არსი ბიოლოგიური წინაპრად იქცა ერის შეგნებაში.

4. ქართული კულტურა პირველ-ხილვა და პირველ-ქმედებაა კარდუსი. „ოქროს მატყლი" — ეს კულტურა საქართველოს ერთი კუთხისა: კოლხეთის. ხოლო ჩვენ „მატყლს" კი არ ვგულისხმობთ დასახელებისას, არამედ „ვერძს", ხალხთა მითოლოგიაში „ვერძი" სახეა „შემმართებლის", ყოვლის გარდამქმნელის. როგორი მზეინსაბიით ელანდება იგი აქ ქართულ ხილვაში, როგორც „ოქროვანი"!

5. ხევსურეთში წმინდა ცხოველია „თეთრი ჯიხვი"; მისი შესატყვისი ხევსურულში თეთრი ხარირემი: „ჯიხვი". ავხვალთ ეხლა ვარსკვლავთა არეს. ხმა ერთი ხილვაში აქ „დიდი დათვი", ჩვენი ერი კი აქ „არმის ნახტომს" ხედავს. რა ღრმა სიღრმეებია აქ ცხადებული! ამის შესახებ ცალკე, როცა ჩემს რომანს „ძაღლი ქალღმერთისა" შევეხები.

6. კავკასიის ვითარებაში ცნობილია ხანი მზისა: ხოლიგოლი. არსად, არცერთ კულტურაში, არ არის ეს ხანი ისე ხელსახებად მოცემული, როგორც ქართულ ყოფაში. მეგვსის მწერლობისას ამბობს ქართველი მეუფისა: „თვალი ხატულია მეუფისა". „თვალი" აქ მზეს ნიშნავს. ქართველი ჩვენიხე ამ თქმით უფრო პოეტურად ამხელს სიდიადით, ვიდრე დიდი პლოტინი და დიდი გოეთე. მზე ქართულ ხილვაში შინაგანი თეთრია ყოვლისა. შეერსვის თუ შეჯერების დროს ჩვენ ვიტყვით: „შენმა მზემ", „შენმა მზემ" — თითქო ყოველ ადამიანს თავისი საკუთარი მზე ჰქონდეს. მოგვაგონებს უკვე ხსენებული წერილი ნეტარისა. „მზე უმზერით ვერ იქნებოდა, რადგან შენ ხარ მისი წილი". სწორს ხატოვან ტერმინს. ადამიანის მზეთამაზობისა აქ პირველ ჭიქით ეხება.

7. აქედან „თეთრის" შეგნება ქართველ ერში. „თეთრი" მისთვის უბრალო „ფერი" კი არაა, არამედ თვითონ „რთობა", როგორც ეს ეხმიდაბა ძველ ბერძნებთან და გოეთეს. ეს ცხადდება ჩვენში ყოველდღიური ჩვენ ხშირად ვხმარობთ „ყვავის" მაგიერ სიტყვას „ყვავლოვანი" და „არიან" მაგიერ სიტყვას „არიელი". კიდევ მეტი: „რადგან გათეთრდა"? ვკითხულობთ ჩვენ ვინმეს ხანდახან. ამ თქმაში კიდევ უფრო ნათლად ჩანს ფერი, როგორც „რთობა". დღემდე შენახულ სახელი „სწორ-ფერი", რომელსაც ხევსურეთში მეტრიულ უწოდებენ. ეხლა ნათელი ხდება: სწორფერი, ესე იგი შესაფერი, სიყვარულში მეტისმეტ სახური და ხაზგასმა.

8. ურანგ მეფეთა სამეფო ალამი იყო მეწამული. ბაგრატიონთა ალამიც მეწამული იყო, ხოლო მას თეთრი ალამი ქონდა ზედ გულში გაწყობილი. ეს არაა ფერის შეთანხმებითი არჩევა. თუ ჩვენ მოვიფიქრებთ ამ ორ ალამს მიწიერ „ვალენტსა" ფერის სწავლით, დავინახავთ, რომ ბაგრატიონთა სამეფო ალამი უფრო მეტად ხედავს, ვიდრე ალამი ურანგ მეფეთა. ბაგრატიონთა ალამი გვამცნევს: მეწამული ფერით ალამის ამმართველი ჯერ კიდევ მიწისა, ანუ ადამიანური ფუნქციით მოქცეული, როგორც ამმართველი ურანგ მეფეთა ალამისა, ხოლო თანვე თეთრი ზოლით მას თითქო წინასწარ მიუზმული აქვს ზეცა, ანუ ღვთიური ფერი. აქედანვე ჩანს ნათლად ისიც, თუ რად უწოდა ქართველმა ხალხმა თავის მწვერვალ წმინდა გიორგის: „თეთრი".

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოგონებათა რვეული

საქართველოს განთავისუფლებისა და დამოუკიდებლობის ხანიდან

— მამისათა და ძისათა და წმინდისა სულისათა... პირჯვრის წერით წამოიძახა ლეონიდემ და სასახლეში შევიდა. დიდ სადარბაზო ოთახში მან აბეჯა ცარიელ კედლებს, სადაც წინათ რუსი ეგზარხოსების სურათები ეკიდა და ერთ წამს შეჩერდა. მე ვაცნობე ჩემი განკარგულება. ლეონიდემ პირჯვარი გადაიწერა და წარმოსთქვა — ღმერთო!.. უფალო, შეგვიწყალე და დაგვიფარე!..

ლეონიდე უკვე დაბინავებული იყო. გარედან მომესმა ხმამაღალი ლაპარაკი. გავეშურე ფანჯრისაკენ. ერთ ახალგაზრდა ქართველს ხელში ეილაკის სურათი ეჭირა და ნაკუწ-ნაკუწად ჰფლეთდა.

— რის შერჩებით, ეგ სურათსა ჰგლეჯთ? — შევყვირე მას.

— საქართველოს დამწყევლის, ეგზარხოსი პავლესი! — მომესმა პასუხად.

მეც გავჩუმდი.

ისევ ლეონიდეს დავუბრუნდი, იგი ღრმა, რბილ სავარძელში ისვენებდა თავის ახალ სამუშაო ოთახში, რომლის ღია ფანჯრებიდან მოსჩანდა სასახლის ბაღის ბოლოს მომდინარე მშობლიური მტკვარი.

— ძვირფასო ბატონო დავით! არ დამტოვოთ მარტოდ, სანამ ეს ჩემი ამბავი უზრუნველყოფილი არ იქნება მთელი ქართველობის მიერ. დარაჯები ხომ დარჩებიან ამ ღამით აქ? — ღელვებით მეკითხებოდა ყოვლადსამღვდელო.

— ნურაფერზე იდარდებთ! ვიდრე თქვენი მშვიდობიანობა სავსებით დაცული არ იქნება, არ მოგცილდებით! — ვუპასუხე კათალიკოსს.

ამგვარად გაგვიჩნდა დიდი საზრუნავი: შექმნილი მდგომარეობის დაცვა. ჩემი ახალგაზრდებით ორ დღედაღამეს ვუდ-ლიდი სასახლეს. მიუხედავად ამისა, კარგად ვიცოდი, რომ ჩვენი მცირე ძალა საკმაო არ იყო მრავალრიცხოვანი მორწმუნე რუსობისაგან მოსალოდნელი თავდასხმის ასაცილებლად. ამიტომ ლეონიდეს გადმოსვლის დღეს კაცი მივუგზავნე თბილისის მილიციის უფროსს, ქართველ სოციალ-დემოკრატს, რათა დაგვხმარებოდა კათალიკოსის ბინის დაცვაში. მან ხოვ ძირდაპირ მიმართა. მილიციის უფროსის ბრძანება მიეცა დარაჯები დაეყენებინა კათალიკოსის დასაცავად. სწორედ ამ ხანებში თბილისს ხმა მოედო, ნაძალადევის რუსული მოსახლეობა საპროტესტო მანიფესტაციის გამართვას აპირებს ეგზარხოსის ბინის დასაბრუნებლადო.

გიორგი ქურულის გადმოცემით, ქ. თბილისის სამართველოში მას შეხვედრია ცნობილი ქართველი სოციალ-დემოკრატი სილიბისტრო ჯიბლაძე და ქურულისათვის შემდეგი გადაუცია:

— რა ვუყოთ! საქვეყნო სკანდალისა და რუსობის ჯანყის თავიდან ასაცილებლად გადავწყვიტეთ ლეონიდეს დავეხმაროთ. ეხლა მივდივარ ვაცნობო მილიციის უფროსს გააგზავნოს მილიციელები მის სადარაჯოდ.

მესამე დღეს, საღამოს, ქართველმა მილიციელებმა შეცვალეს ჩვენი მოხალისე დარაჯები.

სახიფათო მდგომარეობა მოხსნილი იყო. ეგზარხოსი პლატონიც აღარ დაბრუნებულა თბილისში. რუსების მანიფესტაცია ჩაიშალა, მის მოწყობაზე ვერავინ ვეღარ ბედავდა ფიქრს...

აღსდგა და წელში გაიმართა ქართული ეროვნული ეკლესია — საქართველოს დამოუკიდებელი ცხოვრების მტკიცე ბალავარი...

დავით ვაჩნაძე.

დასაწყისი იხ. „საქართველო" № 33 (110).

ძილის მართვის ცენტრი

ძილის დროს ადამიანი არ სცილდება შეგრძნობის ფარგლებს ჩვენ. შეგვიძლია შთავაგონოთ ჩვენ თავს, გავიღვიძოთ დანიშნულ დროს ან ენახოთ „გამაფრთხილებელი" სიზმრები. მაგალითად, ჩვენ შთავაგონეთ ჩვენ თავს გავიღვიძოთ 5 საათზე. ეს თავისებური ბრძანება გადაეცემა ტვინს. მასში პატარა მოტორები განაგრძობენ მუშაობას და კეთილსინდისიერად ასრულებენ დავალებას, ამიტომ მართლაც 5 საათზე გავიღვიძებთ.

მეორე მაგალითი: ჩვენ გვესიზმრება, რომ მოვხვდით ისეთ მდგომარეობაში, სადაც მოგვცილის სიცივით სიკვდილი. გვეღვიძება. რაშია საქმე? თურმე საბანი გადაგვხდია და სიცივე ვიგრძენით. „გამაფრთხილებელმა" სიზმარმა გადაგვარჩინა გაციებისაგან. ბერლინელმა ნევროლოგმა პროფ. ი. ხ. შულცმა დაადგინა, რომ ჯანსაღ ადამიანებს შეიძლება ჰქონდეთ ორგვარი სახის ძილი. ზოგიერთი მათგანს, რომლებიც მიეკუთვნებიან „ერთი ციკლის ადამიანების" ტიპს, ყველაზე მაგარი ძილი აქვთ დაწოლიდან ერთი საათის შემდეგ. ამ მდგომარეობაში ისინი რჩებიან სამიდან ოთხ საათამდე, რის შემდეგ იწყება თანდათანობითი გამოღვიძება. არსებობენ კიდევ მეორე ტიპის, ე. წ. „ორი ციკლის ადამიანები". მათ მაგრად სძინავთ მხოლოდ 1 საათს და 2 საათის ძილის შემდეგ თანდათანობით იწყებენ გაღვიძებას. ეს ციკლი ორჯერ მეორდება. ადამიანები, რომლებიც მიეკუთვნებიან „ორი ციკლის" ტიპს, დილაობით ჩვეულებრივად უხალისოდ დგებიან და ცდილობენ მეტ ხანს დაჰყონ ლოგინში. პროფესორი შულცი მათ ურჩევს, ზედმეტად არ გააგრძელონ ღამის ძილი და სამაგიეროდ დაიძინონ დღისით.

გერმანელი ჯარისკაცები კარპატის მთებში.

კავკასიონი

მოხ. ამური

ფედამოწმზე მარად ნათელით,
მძლავრ ხიზილდივით წამომართული,
ტალღებს მიარღვევს დიდი ქართველი,
ქართველია მისი ქართველი.

გაქვავებული დახადებიდან
და დღემდე აღარ დაბერებული.
დაჩმახული სდგას ძველებურად
თეთრ ბაშლაყებით და ნაბდებით.

ჩამოსწოლია ზეცა ალერსით
და ვარსკვლავებით მოციმციმეთი.
მარადისობის ოკეანეში
სდგას, ვით ოცნება, სდგას, ვით იმედი.

პირველ აქ დაჰკრეს ცამოსხვლის ზარი,
პირველ აქ ითქვა კაცთა ამბავი;

ამ მთაზე არის, ამ მთაზე არის
ალბათ ადამ და ევას სადგომი;
პირველ აქ ხმაქნის სიტყვა ქართული,
პირველ აქ გაისმა ხმა ტკბილ ნანასი;
რუსთველი არის აქ მონათლული,
თამარისა მისი პატრონი;

ჯვარზე გააკრეს აქ ამირანი
და ქრისტესავით აწამეს რისხვით.
შეუდრეკელი ვაჟკაცის სახელი
კავკასიონს არის მარადის.

ჩამოსწოლია ზეცას ალერსით
და ვარსკვლავებით მოციმციმეთი.
მარადისობის ოკეანეში
სდგას, ვით ოცნება, სდგას, ვით იმედი.

*

გახსენება

მოხ. ი. შ—ია

მარწყვზე წავიდეთ, ხშვებიც მოდიან,
მარწყვი დავკრიფოთ წითლად დაწინწკლული,
ის მთა ავიაროთ — ის მთა ლოდიანი, —
და თავად მარწყვივით შეგხვდა.

ის მთა ავიარეთ, ამ ხეებსაც დავშორდით,
მთის მკერდზე მოვფინეთ მარწყვი აკიწვლი
და... რაღაც უცნაურ უბრალო ბავშვობით
შევთანხმდით: ვიცხნით შენობით.

ცისარტყელა

წამწამებს თუ ცრემლი ნამავს,
ერთ ვარსკვლავის მაშვრალ ქიმზე
ცისარტყელა თვალს გაახელს.

მაშინ გული სურიქვას მილავს,
ცისარტყელას — შეიფერს გამზერ ·

და სამფერავს არ გაგიმხელ.

ნეტავი თუ გაგიხდები?
უბრალობილებს ქართულ ნანას
მოგიგონებ, დაულოცავი
და წამწამებს ცრემლი ნამავს.

ლეგენდა ამუნდსენის შესახებ

არქტიკის მოსახლეობას შორის გავრცელებულია ხმა, რომ 1928 წელს ნობილეს ექსპედიციის ძიებისას უგზო-უკვლოდ დაკარგული პოლარული მკვლევარი როალდ ამუნდსენი ალასკაზე სცხოვრობს და ითვლება ესკიმოსთა ბელადად. ეს ხმა გავრცელდა იმის შედეგად, რომ „ალასკა ტრეიდინგ კომპანის" საზოგადოების ერთ-ერთი მოსამსახურე ამ რამოდენიმე ხნის წინათ თითქოს შეხვედრია ამუნდსენს და მასთან ულაპარაკია კიდეც.

9. სოლარულ ხანაში იერარქიული ურთიერთობა იყო დადგენილი, საკრალურ ქართულ ენაში ეს ურთიერთობა მაღნეულის ბუდობავთაა მოცემული. აქ მხოლოდ რამოდენიმე მაგალითი. ჩვენ ქალს ხელზე „ვკოცნით", ხოლო დედისმშობლის ხატს „ვემთხვევით"; დარბაზში „ვიმღერით", სალოცავში „ვგალობთ"; საერო მწერლობისათვის „მხედრული" შრიფტი გვაქვს, სასულიერო წერილისათვის „ხუცური"; ადამიანს მივმართავთ: „ბატონო", ღმერთს: „უფალო".

10. აქედან: „უფლება" მომდინარეობს არა „ბატონისაგან", არამედ „უფლისაგან". მაშასადამე ქართულ ენაში უფლება საკრალური ბუნების ცნებაა. წმინდა გრაალის ძიებასაც აქ უნდა ვეძიოთ. დეკალთა მთაზე იხსენებ მეფენი; მოგვითხრობს ერთი ქართული თქმულება. ისინი ცდილობენ ერთი ციდან ჩამოვარდნილი ვარსკვლავი დაეჭირათ, რათა ხალხის ბედი მარადიულად წაეყვანათ. თამარ დედოფალს, მეორე თქმულებით, ჰქონდა ასეთ დეკალის მთაზე კოშკი, სადაც ერთ სკივრში ასეთი ვარსკვლავი ეწყო (ეს თქმულებანი მოთხრობილია ბ-ნ ტ. მარგველაშვილის ერთ გამოუქვეყნებელ შრომაში). გრაალის შესახებ ცნება, როცა ჩემს რამაზს „მცველნი წმინდა გრაალისა" შევეხები.

11. არსად, არც ერთ ტრადიციაში, არ ჩამოხმდნია ეს ცნება საკრალური მართვისა ისე ზუსტად, როგორც ეს არის გამოკვეთილი უძველეს ქართულ სახელებში: „ხელმწიფე". „ხელი" ხდება ზღვარს ადამიანსა და ცხოველთა შორის: ამისათვის ხელით გადადიოდა კურთხევა ერთი ადამიანისაგან მეორეზე. „მწიფე" ნიშნავს: მდიდარს, უხვს, მაგარს. „ხელმწიფე" — ამ ერთ სიტყვაში მოცემულია მთელი კონცეპცია „Priester-König"-ზა პლასტიურად, რომელიც ერთად ერთი ფუძე იყო მართვისა და რიგ-დებისა ოქროს ხანაში.

12. „ხელმწიფე", ანუ „მეფე-მღვდელი" გვხვდება არა მარტო მითოსში ქართველი ერისა, არამედ მის „ისტორიაშიც". სახელი შიხა: ალმაშენებელი დავით. ერთი ჯვაროსანის მოწმობით ძლევით ჰყოლია კახეთის ბჭენი გაამაგრა და გოგსა და მაგოგს გზები მოუჭრა. გოგი და მაგოგი, ტრადიციათა ცნობით, ხალხნია: ბნელისა და უკეთურობის მატარებელნი. ხედავთ, როგორ განდიდებული სახელი ალმაშენებლისა უცხოთა შორის? კიდევ მეტი: დავითი მითოსად იქცა დასავლეთში. ერთი ინგლისური ქრონიკა მოგვითხრობს: ალმაშენებელმა დაირქვა სახელი „პრესვიტერ იოანეს" (პრესვიტერ: მღვდელმთავარი), გადავიდა ინდოეთში და იქიდან მიდის საქრისტიანოს მოსაშველებლად. არც ერთ ისტორიულ მეფისაგან, თუ გინდ „მეფე-მღვდელ" სახელს, არ რგუნებია სახელის ასეთი ამაღლება. მე ვიტყვი: დავითი იქცა მითოსად; უნდა დავუმატო: იქცა მითოსად, რადგან მასში დაგვირგვინდა „პრესვიტერი" ისტორიულ სინამდვილედ დაინახეს.

13. საქართველო გამოდის კარდმეტად მეტაფიზიკურად, დაშორებით მხოლდება მითოურად. დავით ალმაშენებელი მეფობა ისტორიულად. ამ ხამ საზღვრებაშია მოქცეული მთელი მისი ყოფა.

14. წმინდა ნინომ გამოსჭრა ჯვარი ვაზის ნასხლევიდან და შეკრა იგი თავის თმებით. ეს ჯვარი უნივერსალური სიმბოლოა მთელს საქრისტიანოში. ვაზი სახეა მიწისა, მისი დედობის; ქალის თმები, როგორც გამოსახვა, კიდევ უფრო აღრმავებს ამ დედობას. ვაზის ჯვარში ღვთიური „იშვება", როგორც თესლი მიწაში და მიწიდან იშვის, როგორც ნაყოფი. გარდა ამისა: ვაზი მიწის ლხინია ღვთიური; ვაზის ჯვარით მისი თავგანწირული ალექსივს თავის არსში ღვთის ენებას არა როგორც „წამებას", არამედ როგორც შვებას.

15. პრომეთე ეკუთვნის კავკასს, განსაკუთრებით საქართველოს, სადაც იგი ამირანის სახელით არის ცნობილი. მან მისცა ცეცხლი კაცობრიობას და ამით გააბედნიერა უკანასკნელი. ხოლო ეს ცეცხლი მან შინიდან კი არ მიიღო ღმერთისაგან მზიურ-ქალის გზით, მან იგი „მოიტაცა". ამის გამო იგი „თავნება" არის სახელდობრ. არცერთ ხალხს არ ხდება თან ეს „თავნებობა", როგორც სავსებით ისე მძაფრად, როგორც ქართველობას — და ეს ქართველი ერი სწორედ ურთიერთ კულტით „ავრძელებს" მთიან: ვნების კვირის ხუთშაბათს, დილით ადრე, ქართველნი მჭედლნი სჭედენ სიმბოლური ჯაჭვს. რისთვის? თუ ამირანმა ვინიცობაა ჯაჭვი გაწყვიტა, მზადა გვაქვს ახალი ჯაჭვი — იგი ბასუხი. ამაზე შორს ვერ წავა ხალხის სიბრძნე, მგონია.

საქართველოს შინაგანი დაშლის მიზეზი, ავფიქრობ, სწორედ ეს „პრომეთეული თავნებობა" იყო. ხოლო ამაზედაც ცალკე, როცა ქართულ ხასიათს გავაცნობ მკითხველს.

აქ მოკლედ მოვიყვანე მეტადრე საქართველოს მიერ ხილული მითოლოგია. ეს მითოლოგია ვრცლად არის გაშლილი ჩემს ნარკვევში „საქართველოს საუნჯე", რომელიც ამ ახლო ხანში დაიბეჭდება.

შენიშვნები:

1. მითოლოგია, ქართველთა მიერ ხილული, არა თუ არ ჩამოუვარდება სხვა დიდ ხალხთა მიერ შექმნილ მითოლოგიებს, არამედ ზოგიერთ მეტაფიზიკურ შეფარდებით მათთან იგი უფრო ღრმაა და პლასტიკური. ქართველი, რომელიც ამ მითოლოგიას შეიგნებს, გაიმართება მხრებში დიდი კარდმეტი მზიური უნებლიეთ.

2. ვინაც საქართველოს აღდგენა უნდა, იგი უნდა გამოდიოდეს შინაგან ამ მითოლოგიის შეგნებიდან. სხვა გზით საქართველოს აღდგენა და მისი ხელმწიფების გამართვა წარმოუდგენელია.

3. ბოლშევიკური ფორმულა კულტურისა, სტალინის მიერ კანონიზებული, ასეთია: ყოველი კულტურა უნდა იყოს „შინაარსით ინტერნაციონალური, ხოლო ფორმით ნაციონალური". ამ ფორმულის მიხედვით შეიძლება წარმოიშვას მხოლოდ კულტურა უსახური: კულტურა ანონიმის. ნამდვილ კულტურას — რაიც ერისა და ამავე დროს ღრმად ეროვნულია და სწორედ ამის გამო უნივერსალური — ბოლშევიზმი ხსნის შინაგან და ხსნის. აქ ერთი მაგალითი. ჩემი „ლამარა" დაიდგა პირველად სცენაზე 1926 წლის იანვრის ბოლოს. ივანე გომართელი — ნაციონალისტი და გულმართალი, ნამდვილი ქართველი, ჯერ კიდევ საქმიდან არ დაფიცებული — გამოეხმაურა „ლამარას" ჟურნალში „თეატრი და ცხოვრება". იგი სწერდა სხვათაშორის: გრიგოლ რობაქიძე არა მარტო დიდი ხელოვანია, იგი დიდი ქართველიცაა, რადგან „ლამარაით" მან საქართველოს მეობა დაგვიხატა და გადაგვიშალა. მიხეილ კახიანი, მაშინდელი გენერალური მდივანი საქართველოს კომუნისტური პარტიისა, ამ იდეალის კვალად დაიწყო ჟურნალი ბრაზით განზე გადაუგდო და წამოიძახა: სწორედ ეს მეობა უნდა ამოვგლიჯოთ ძირიან ფესვიანად. ეს ამბავი გადმომცა ერთმა ცნობილმა მგოსანმა. ბოლშევიკური თვალსაზრისით კახიანი რასაკვირველია სავსებით მართალი იყო.

4. მთავარი მიზეზი, თუ რად დავტოვე მე სამშობლო, იყო ჩემი ღრმა რწმენა, რომ სამშობლოს ფარგლებში ფესვები ერის მითოლოგიისა ვერ გაიხარებენ: დღეს თუ ხვალ ისინი აღიკვეთებიან; ყოველ შემთხვევაში ბოლშევიკები არ დაზოგავენ არაფერს, რათა ისინი გაანადგურონ სრულიად.

5. ჩემს შემოქმედებაში მე გამოვდივარ საქართველოს შემოქმედებით არა ეთნოგრაფიული, არამედ მითიური სათავეებიდან. ბატონმა ნიკო იმნაიშვილმა უკვე გამოაქვეყნა წერილი გაზ. „საქართველოში" ჩემი შემოქმედების შესახებ ევროპაში. წერილი გულთბილ მიდგომით არის შედგენილი და ავტორს ჩემდამი გარდა მადლობისა არა ეთქმის რა. ხოლო უდავოდ არ იქნება, ვფიქრობ, მე თვითონ გავარკვიო ზოგი რამ ჩემს შემოქმედებაში, რამდენადაც იგი საქართველოს ეხება, ეს კი რიგი იქნება იმისთვისაც, ვინაც ჩემი ზოგი ნაწარმოები სწორად ვერ გაიგო: მაგალითად რომანი „მეგი" — ზოგიერთ წრეებში გაუგებრობით ქართველთა ამ რომანმა ერთი სახიფათო, ჩემთვის მეტად მტკივნეული, გაუგებრობა გამოიწვია. მაგრამ ამის შესახებ შემდეგ.

ზაფხული გერმანიაში. მიუხედავად იმისა, რომ გერმანია უკვე მეხუთე წელია გაბმულია ტოტალურ ომში, ცხოვრება და მუშაობა ქვეყნის ზურგში ნორმალურად მიმდინარეობს...

[illegible]

შორეული აღმოსავლეთის თავისებურებანი

იაპონიაში ადამიანის ხნოვანებას ანგარიშობენ დაბადებიდან კი არა, არამედ ჩასახვის დღიდან. ამრიგად, ახალდაბადებული იაპონიაში უკვე თითქმის ერთი წლისაა.

*

იაპონელები მიიჩნევენ, რომ სახელის ამორჩევა ახალდაბადებულისათვის მეტად მნიშვნელოვანი საქმეა და ბავშვის ბედზე მას დიდი გავლენა აქვს. ცუდმა სახელმა შეიძლება ბევრი უბედურება მოუტანოს მის პატრონს, და პირიქით, კარგ სახელს შეუძლია ბედნიერად გახადოს იგი. ამასთან დაკავშირებით, ბავშვისათვის სახელის შერჩევა და დარქმევა იაპონიაში ხდება განსაკუთრებული საზეიმო ცერემონიებით.

*

ყველასათვის ცნობილია ის პატივისცემა, რომლითაც სარგებლობენ იაპონიაში მოხუცები და დიდი თანამდებობის მქონე პირები. განსაკუთრებით რთული და სხვადასხვა წესებია ამ მხრივ გამომუშავებული ახალგაზრდა ქალიშვილებისათვის. მაღალი განათლებისა და ღირსების მქონე იაპონელი ქალიშვილიც კი ვალდებულია ასრულებს ამ წესებს. უცხოელთან შეხვედრის დროს იაპონელი ქალიშვილი სალამის მიცემისას ვალდებულია ისე დახაროს თავი, რომ მისი ხელის თითები მიწას შეეხოს. მაღალი თანამდებობის პირთან ლაპარაკის დროს, ქალიშვილი ვალდებულია უცქიროს მის მუხლებზე. შედარებით დაბალი თანამდებობის პირის ქალიშვილი უყურებს მკერდზე, ხოლო სახეზე მზერა მას შეუძლია მხოლოდ იმ პირებთან საუბრის დროს, რომელთაც მასთან თანაბარი საზოგადოებრივი მდგომარეობა უკავიათ.

*

ტაიში არსებობს ერთი მეტად საინტერესო დღესასწაული, რომელსაც „ქაღალდის ზეცის" უწოდებენ. [illegible]

აგვისტოს აჯანყება

ხელისუფლებამ მოამზადა. იყო თუ არა ეს აჯანყება სათანადოდ მომზადებული ორგანიზაციულად? თუ შექმნა ქართველმა ხალხმა სათანადო, მიზანშეწონილი, მოქმედი ორგანო, რომელიც შესძლებდა ასეთ მძიმე პირობებში, ვინაიდან მტერი ვერაგი და გამოცდილი იყო, ხელმძღვანელობის გამოჩენას? ამ კითხვაზე უნდა ვუპასუხოთ დადებითად და ამავე დროს უარყოფითადაც. რასაკვირველია, ქართველი ხალხი, გამობრძმედილი პოლიტიკურ ბრძოლაში, საკუთარი სამხედრო ძალებით, დაირაზმა ჩინებულად, მთელ საქართველოს მოეფინა აჯანყების ტექნიკური მომზადებისათვის ორგანიზაციები. დამოუკიდებლობის კომიტეტის — „დამკომის" — მუშაობა ამ მხრივ დაუფასებელია და მრავალფეროვანი. „დამკომმა" მოახერხა აქტიური მონაწილეობა მიეღო აჯანყების გამარჯვებით დაინტერესებულად თითქმის მთელ ხალხს: მუშას, გლეხს, ინტელიგენტს, ოფიცრობას, მღვდელსა და ბერს. ერთი სიტყვით, მომზადება ამ მხრივ სრული, უნაკლო იყო. „დამკომს" კავშირი ჰქონდა ჩრდილო კავკასიასთანაც კი. ქაქუცა ჩოლოყაშვილი პარტიზანთა მაღალნარისხოვანი ხელმძღვანელია, იგი შეუდარებელი სულია და მიუხედავად ყველა ამ შესანიშნავი პირობისა და ორგანიზაციისა, აჯანყება დამარცხდა. რა არის ამის მიზეზი? ჯერ-ერთი: ისტორიამ იშვიათად იცის მტერთან დამონებული ერის ასეთ შეჯახებაში გამარჯვება, საკუთარი ძალით, უცხო, გაბატონებული, მასალადაც მატერიალურად გაცილებით ძლიერი ძალის მოშორება. ერთეული აჯანყება ყოველთვის გამარჯვებული გამოდიოდა მხოლოდ გარეშე ძალის დახმარებით. ასე მოხდა საბერძნეთის, ბალკანეთის ქვეყნებისა და იტალიის განთავისუფლება. ესაა საქართველოს აგვისტოს აჯანყების, ასე ვთქვათ, ობიექტური პირობები. მაგრამ არის მიზეზი ქართული სულიერი ამბოხების მარცხით გათავებისა, რომელიც თვით აჯანყების ორგანიზაციაში, უკეთ, ხელმძღვანელ ორგანოში უნდა ვეძიოთ, ვინაიდან აჯანყებას თითქოს ყველა შანსი ჰქონდა გამარჯვებისა, და ის, მიუხედავად ამისა, მაინც განწირული იყო. საქმე იმაშია, რომ აჯანყების მთავარი ორგანო ყოვლად შეუსაბამო პრინციპზე იქნა შედგენილი. აჯანყების მეთაურობა და მისი მწყობრი ხატირება, რომელიც მოითხოვს საიდუმლოებას, სწრაფ გადაწყვეტილებებსა და მოქნილობას, უნდა განეხორციელებინა პარტიათა პარიტეტულმა ორგანომ, რასაც არსებითად „დამკომი" წარმოადგენდა. აი, სად უნდა ვეძიოთ აგვისტოს აჯანყების შინაგანი სისუსტე, მისი ორგანული ნაკლი, რამაც ეს ორგანო აჯანყების ხელმძღვანელად ვერ გადააქცია. მართლაც: დაპყრობილ, დამონებულ, ხელფეხზე ბორკილდადებულ ერს, თითქოს არავითარი „საპარტიო" აღარ ჰქონდა, ვინაიდან ის გაერთიანებული იყო სულიერად, გათანასწორებული მატერიალურად. მას ესაჭიროებოდა, თუ გნებავთ, ერთი ერთეული დარაზმულობა. ქართველები კი მაინც, რაღაც გაუგონარი ანაქრონიზმით, ტრადიციულად, ისევ მრავალ „პარტიებში" იყვნენ დანაწილებულნი, რომლებიც, პარტიათა ბუნების ძალით, ერთმანეთს ექიშპებოდნენ, ედავებოდნენ. „დამკომში" საშური, გადაუდებელი საქმეები ჰპოვებდნენ თავის დროზე ღირსეულ გადაჭრას, ვინაიდან საკმარისია, რომელიმე პარტიის წარმომადგენელი წინააღმდეგი იყოს, რომ თვით გადაუდებელი საკითხი მოიხსნას და პარტიათა გახილვის საგანი გახდეს, რაც ძვირფას დროს აკარგვინებს და ახალ შეხლა-შემოხლას იწვევს.

*

აგვისტოს აჯანყება დამარცხდა ფიზიკურად, ხოლო ის უდიდესი გამარჯვება იყო ქართველი ხალხის სულიერი სიძლიერისა. ამ დღეებში აღმოჩნდა, რა უფსკრული იყო გათხრილი ხალხსა და მოსკოვის მიერ დაყენებულ ხელისუფლებას შორის. ეს მტრული ხელისუფლება განმარტოებული, ხალხის სხეულისაგან მოწყვეტილი დარჩა. მისი დასაყრდენი იყო მხოლოდ უცხო ძალის ხიშტები. ქართველმა ხალხმა ამ დღეებში გამოიჩინა ის მორალური სიმაღლე, რომლის გაგება კომუნისტურ ხელისუფლებას ორგანულად არ შეეძლო. აი, ამით აიხსნება, როცა დასავლეთ საქართველოში, ბევრგან ადგილობრივი კომუნისტური მართველობა დაატყვევეს და ამავე დროს არც ერთი წვეთი სისხლი არ დაუღვრია ხალხს, შემდეგში გამარჯვებული ხელისუფლების აგენტებმა აჯანყებას ეს გარემოება სისუსტედ ჩაუთვალეს. ჭეშმარიტად უცხოა ეს ხალხი ქართველ ერის ბუნებისათვის!..

საინტერესო ცნობები ფილოსოფიის ისტორიიდან

სულელი თუ ბრძენი?

დიოგენი ეკუთვნის იმ იშვიათი ადამიანების რიცხვს, რომელთაც პირადი ცხოვრება მთლიანად დაუქვემდებარეს თავის ფილოსოფიურ მსოფლმხედველობას. დიოგენი, ისევე როგორც მისი დიდი თანამედროვე პლატონი, ცხოვრობდა მე-4 საუკუნეში ქრისტეს წინ და ეკუთვნოდა ცინიკების ფილოსოფიურ სკოლას. მათი მოძღვრების მიხედვით, ადამიანმა თავისი საყოფაცხოვრებო მოთხოვნილებანი მინიმუმამდე უნდა დაიყვანოს. ადამიანის უმაღლესი ბედნიერება იმაში მდგომარეობს, როდესაც იგი თავისუფალია ცხოვრების ყველა პირობითობისაგან, მაშინ იგი თავისთავად ეზიარება საღმრთო გარემოს.

დიოგენმა თავისი ცხოვრება ამ შეხედულებათა შესაფერისად მოაწყო. საცხოვრებელ ბინად მან დიდი კასრი აირჩია. მისი პირადი ქონება შესდგებოდა მხოლოდ საწვიმრისა, პურის ტომარისა და ხის ჯამისაგან. შემდეგში მან ეს ხის ჯამიც გადააგდო, როდესაც დარწმუნდა, რომ წყლის დალევა პეშვითაც შეიძლება.

ხალხს, განსაკუთრებით კი მდიდრებსა და განებივრებულ ათენელებს, დიოგენი ზიზღით უყურებდა. მათ ცხოვრებას იგი ადარებდა ცხოველების ცხოვრებას, გამონაკლისად ის სთვლიდა მხოლოდ სპარტანელებს, რომელთაც ის „ბავშვებს" უწოდებდა.

დიოგენი განირჩეოდა თავისი მკვიმახვილობითა და გესლიანი დაცინვით, რომელიც ხშირად უხეშობამდეც მიდიოდა. მაგალითად, როდესაც მაკედონელებმა, ხერონეიასთან ბრძოლის შემდეგ, დიოგენი, როგორც ტყვე მიიყვანეს მეფე ფილიპესთან (ალექსანდრე მაკედონელის მამა), გაიმართა ასეთი საუბარი: „ვინა ხართ თქვენ?" — ჰკითხა მეფემ. „თქვენი გაუმაძღრობის მკვლევარი" — უპასუხა დიოგენმა. მეფეს ისე მოეწონა პასუხი, რომ დიოგენი გაანთავისუფლა.

ერთხელ, როდესაც დიოგენი ქალაქში მიდიოდა, მისი ყურადღება მიიპყრო ერთ-ერთი სახლის კარების წარწერამ: „დაე ნუ შემოვა აქ ვინმე უწმინდური!" ფილოსოფოსმა ხმამაღლა გადაიხარხარა: „მაშ როგორ შედის შიგ თვით სახლის პატრონი?"

ერთმა გამვლელმა დიოგენს მიუთითა, რომ მან შემთხვევით სიბინძურეს დაადგა ფეხი. ფილოსოფოსმა ამაზე შემდეგი პასუხი გასცა: „ეგ არაფერია, მზე ნაგავსაც ანათებს, მაგრამ ამით ის სრულიად არ ისვრება!"

ერთ-ერთ ჩასუქებულ ბრიყვს, რომელსაც მოტვლეპილი თავი ჰქონდა, დიოგენმა ასეთი ქათინაური უძღვნა: „თქვენი თმები მართლაც რომ პატივისცემის ღირსია, ვინაიდან მათ მიატოვეს ასეთი ჩერჩეტი თავი".

დიოგენს ერთხელ რამდენიმე კაცი შეხვდა ათენის აკროპოლში, ის ქანდაკებებს ფულს სთხოვდა. მაყურებლები მეტად გაოცდნენ დიოგენის ასეთი საქციელით და ჰკითხეს, რატომ სთხოვს იგი მოწყალებას უსულო საგნებს. ფილოსოფოსმა ასეთი პასუხი გასცა: მე ვაკეთებ ამას იმიტომ, რომ გავხდე გულგრილი. უნდა მივეჩვიო, რათა ჩემი თანამემამულეთა უარი ადვილად ავიტანო.

პატარა ბიჭუნამ, რომელიც მეტად გააოცა ფილოსოფოსის უცნაურმა ტანისამოსმა და საერთოდ შეხედულებამ, თავის ამხანაგს უთხრა: ფრთხილად, ამ ცხოველს შეუძლია შენ გადაგყლაპოსო! დიოგენს გაეცინა და ბავშვს უპასუხა: ნუ გეშინია, ჩემი კუჭი ვერ მოინელებს ამგვარ მწვანილს.

ასეთი იყო ძველი ჰელადის ეს უცნაური ფიგურა. დიოგენმა თავისი ორიგინალობით იმდენად გააოცა თანამედროვენი, რომ ამბები მის შესახებ მომდინარეობს თაობიდან თაობამდე.

ნარევი

იშვიათი ხალხი

აღმოსავლეთ გრენლანდიაში ესკიმოსების ერთი ტომი — ანგმაგსალიკები, რომლებიც წარმოადგენენ უკვე სრულიად გადაშენებულ ხალხის ნაშთს.

რამოდენიმე ხნის წინათ ნორვეგიელი ექიმი, დოქტორი ა. მეიჰკარდი ესტუმრა ამ ტომს და მათთან მთელი წელი გაატარა.

ანგმაგსალიკები აღმოაჩინეს 1884 წელს. იმ დროისათვის ეს ტომი ითვლიდა მხოლოდ 410 კაცს. მაშინ მათთვის სრულიად უცხო იყო რაიმე კულტურა, მისდევდნენ მეტად პრიმიტიულ ცხოვრებას. შიმშილი და ხშირი სიკვდილიანობა შეეხებოდა მათ შორის და მოსალოდნელი იყო, რომ გრენლანდიის ეს ძირითადი მოსახლეობა უახლოეს ხანებში სრულიად მოისპობოდა. ამის გამო მიღებულ იქნა სათანადო ზომები: ანგმაგსალიკებს გადაეცათ იარაღი და პირველი მოთხოვნილების სხვა საგნები. ამასთან დაკავშირებით გაუმჯობესდა მათი კვება.

ანგმაგსალიკები იკვებებიან სელაპის ხორცით, თევზით და ზღვის მოფუსფუსე წყალმცენარეებით. მათი ზნე-ჩვეულებები მიეკუთვნებიან ქვის ხანის მოსახლეობის ჩვეულებებს.

ქალები და სარკე

რამდენ დროს ატარებს ნორმალური ქალი სარკესთან? ეს საკითხი უკანასკნელ დრომდე გამოუკვლეველი არ იყო. მის შესწავლას ერთმა მეცნიერმა რამოდენიმე წელი მოანდომა და მრავალი დაკვირვებისა და საკუთარი გამოცდილების საფუძველზე შემდეგ დასკვნამდე მივიდა:

გოგონები 10 წლამდე სარკეში იცქირებიან საშუალოდ 7 წუთს, 10-დან 15 წლამდე — 16 წუთს. ყველაზე მეტ დროს სარკესთან კვლევისას ატარებენ არა ახალგაზრდა ქალიშვილები, არამედ მომწიფებული ქალები 25-დან 30 წლამდე. ისინი სარკის წინ საშუალოდ ატარებენ 28 წუთს. ამ ხნოვანების შემდეგ ქალების სარკეში ცქერის მრუდი ეცემა. 60-დან 70 წლამდე ისინი უკვე სარკის იშვიათი სტუმრები ხდებიან, მაგრამ მის წინ მაინც დაახლოებით 6 წუთს ატარებენ.

მთელი თავისი სიცოცხლის განმავლობაში ქალი სარკის წინ ატარებს 349.575 წუთს, ე. ი. 5.826 საათს ანუ 242 დღეს!

ანტარქტიკის ახალი რუკა

თეთრი ლაქები გეოგრაფიულ რუკებზე თანდათან იმდენად უმცირდება კონტინენტს. მაგრამ გეოგრაფებს ჯერ კიდევ მრავალი საქმე აქვთ. სხვადასხვა სამეცნიერო ექსპედიციებისა და გამოკვლევების წყალობით, უკანასკნელ ათ წელში, შესაძლებელი გახდა ანტარქტიკის (სამხრეთ პოლუსის არეალის მდებარე მიდამო) მრავალი, აქამდე სრულიად უცნობი, კუნძულის შესწავლა. ამ გამოკვლევების საფუძველზე, გერმანელმა პროფესორმა ბრაიტფუსმა შეადგინა ანტარქტიკის ახალი რუკა.

ანტარქტიკის გარშემოწერილობა, ახალი რუკის მიხედვით, 15 ათას კილომეტრს უდრის და უკავია 14 მილიონი კვადრატული კილომეტრი ფართობი. ამ ტერიტორიის მესამედი უკვე შესწავლილია და მარკირებულია ზედმიწევნით. თავისი სიდიდით ანტარქტიკა აღემატება ევროპის მესამედს. მისი უდიდესი ნაწილი წარმოადგენს ზეგანს 2-3 ათას მეტრამდე ზღვის დონიდან. გვხვდება მთებიც — 4.500 მეტრამდე. პროფესორი ბრაიტფუსის რუკაზე შეტანილია მთელი რიგი შესწორება და დამატებანი.

იცით თუ არა თქვენ?

...რომ ქერა ხალხს სხვებთან შედარებით მეტი თმა აქვს თავზე?

მოზრდილ ნორმალურ ადამიანს თავზე საშუალოდ 80.000 თმა აქვს. თითოეულ კვადრატულ სანტიმეტრზე ითვლიან 170 თმას. ქერებს უფრო მეტი თმა აქვთ, ვიდრე წაბლისფერ და შავთმიანებს. სამაგიეროდ შავი თმა ხასიათდება მეტი სიმტკიცით. შავი თმის ერთი ღერი უძლებს დატვირთვას 150-დან 180 გრამამდე. თმის სიცოცხლის ხანგრძლივობა მეტად განსხვავებულია. ჩვენ ყოველდღიურად ვკარგავთ საშუალოდ 60 თმის ღერს, სამაგიეროდ იგი განუწყვეტლივ იზრდება — ამიტომ ახალი თმა. ცალკეული ღერი სიცოცხლის ექვს წლამდე. მელოტი თავი წარმოადგენს მამაკაცების ტიპიურ ავადმყოფობას. მას არაფერი აქვს საერთო „გარყვნილ ცხოვრებასთან", როგორც ამას ზოგიერთი ხშირად ამტკიცებს. ერთი გერმანელი მეცნიერი მიიჩნევს, რომ თმის გაცვენა გამოწვეულია თავის ქალის საფარის მალით სკლეროზით, რომელიც აფერხებს თმის ძირის ნორმალურ კვებას.

ადამიანის თმას სამრეწველო მნიშვნელობაც აქვს. თმას ხმარობენ ქუდის დამზადების დროს. გარდა ამისა, თმას სწავლობენ აგრეთვე რასიული საკითხების მკვლევარნი. მაგალითად, ესკიმოსებს თმის განივკვეთი მრგვალი აქვთ მაშინ, როდესაც ზანგებს თმის განივკვეთი ოვალურია.

პასუხისმგებელი რედაქტორი
პაატა ვარძიელი
რედაქციის მისამართი
Georgirche Zeitung „Sakarthwelo"
Berlin SW 68, Neuenburgerstr. 14.
ქართული სტამბა არნოლდ მეტრეველისა